
ကျေးဇူး
အမှု
ကိုးကားချက်များ

მარკ ტვენი

ადამ და ევას დღიურები

ევას დღიური

შაბათი, — უკვე თითქმის ერთი დღისა ვარ, გუშინ გავჩნდი. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, ვინაიდან გუშინწინ (თუკი საერთოდ არსებობს ასეთ დღე) მე აქ არ ვიყავი, თორემ უთუოდ მეხსომებოდა. ისიც შესაძლებელია, ვერ შემენიშნა, როდის იყო ეს „გუშინწინ“.

რას იზამ? ამიერიდან უფრო ყურადღებით ვიქნები და თუ ოდესმე კიდევ დადგა ასეთი დღე, უეჭველად ჩავინიშნავ. ახლა კი მიჯობს, დავიწყო ჩემი ამბავი, თორემ მერე რაღაცას ავურ-დავურევ და, ვინ იცის, რაიმე ქრონოლოგიური შეცდომაც გამეპაროს! შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ დადგება დრო, როცა ნებისმიერი წვრილმანი ფასდაუდებელი აღმოჩნდება მემატიანეთათვის. ჩემი აზრით, მე რაღაც ექსპერიმენტი უნდა ვიყო. დიახ, თავს სწორედ ექსპერიმენტად ვგრძნობ... ისე ვგრძნობ, რომ მეტი აღარ შეიძლება. თანდათანობით მე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები ამაში; დიახ, მე ექსპერიმენტი ვარ, ჩვეულებრივი ექსპერიმენტი და სხვა არაფერი! თუ მართლა ექსპერიმენტი ვარ, მაშინ დავიჯერო, ექსპერიმენტი მხოლოდ ჩემგან შედგება? არა მგონია. ვფიქრობ, ყველაფერი დანარჩენიც ამ ექსპერიმენტის ნაწილია; მე მისი მთავარი კომპონენტი ვარ, მაგრამ მასში ყველა დანარჩენიც იღებს მონაწილეობას, ნეტავ შემიძლია ჩავთვალო, რომ ჩემი მდგომარეობა საბოლოოდ გაირკვევა, თუ მაინც სიფრთხილე

მმართებს და სიფხიზლის მოდუნება არ მეგება? ალბათ უფრო მეორე.

შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ უპირატესობა მოუდუნებელი სიფხიზლის ფასად მოიპოვება (მგონი საკმაოდ მარჯვე გამონათქვამია ჩემისთანა ნორჩი არსებისათვის).

დღეს ყველაფერი გუშინდელზე გაცილებით უკეთ გამოიყურება. გუშინ ისეთი გაწამაწია იყო, რომ მთები ნაჩქარევად აკოკოლავებულის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, დაბლობზე კი ათასი ნამსხვრევები და ხარახურა ეყარა. ეს ფრიად დამთრგუნველი სანახაობა გახლდათ. ხელოვნების მშვენიერი და ნატიფი ნიმუშები ნაჩქარევად არ უნდა შექმნა. ეს ხომ დიადი ახალი სამყაროა, მართლაც მშვენიერი და თვალწარმტაცი ქმნილება, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ასე მოკლე ხანში შეიქმნა, უდავოდ უახლოვდება სრულყოფილების ზღვარს. ვარსკვლავები ზოგან ბევრია, ზოგან ძალიან ცოტა, მაგრამ ეს იოლი გამოსასწორებელი უნდა იყოს. გუშინ მთვარე ადგილს მოწყდა, ქვემოთკენ დაეშვა და გაუჩინარდა.

ეს ძალიან დიდი დანაკარგია და ამის გახსენებაზე გული მეფლითება. მთელს არსებულ ჩუქურთმებსა და სამშვენისებს შორის ის ყველაზე ლამაზი და სრულქმნილია. უკეთ უნდა მიემაგრებინათ. ნეტავ შეიძლებოდეს მისი დაბრუნება...

ცხადია, ძნელი გასარკვევია, სად წავიდა მთვარე, და ვინც იპოვის, უთუოდ ეცდება, სადმე შორს გადამალოს. ამაში ეჭვიც არ მეპარება, ვინაიდან მეც ასე მოვიქცეოდი. ვფიქრობ, ყველაფერი დანარჩენში შემიძლია პატიოსნების გამოვლენა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ჩემი ბუნების ძირ-ფესვი სილამაზის ტრფიალი, მშვენიერებისადმი ლტოლვაა და ამიტომ, სხვისი მთვარის ჩემთვის ნდობა უსაფრთხო არ უნდა იყოს,

განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მის მფლობელს არ ეცოდინება, ეს უკანასკნელი ჩემს ხელში რომ აღმოჩნდა. დღისით რომ მეპოვა, ალბათ დავაბრუნებდი; შევშინდებოდი — ვაითუ ვიღაცამ დამინახა, როგორ ავიღე-მეთქი, მაგრამ თუ სიბნელეში გადავაწყდებოდი, რამენაირად მოვახერხებდი ჩემი მონაპოვარის შენარჩუნებას.

რა ვქნა, ჭკუას ვკარგავ მთვარეებზე: ისინი ხომ ასეთი ლამაზები და რომანტიულები არიან.

ნეტავ, ასე დაახლოებით ხუთი-ექვსი ცალი მაინც გვქონოდა. მაშინ საერთოდ უარს ვიტყოდი დაძინებაზე, არასოდეს მომბეზრდებოდა რბილ ხავსზე გაწოლილს მაღლა ყურება და მათი ცქერით დატკბობა.

ვარსკვლავებიც მხიბლავს. მინდა, რამდენიმე ცალი მოვწყვიტო და თმაში ჩავიწნა, მაგრამ, მგონი, ეს შეუძლებელია. ძნელი დასაჯერებელია, თუ რა შორს არიან ჩვენგან: ერთი შეხედვით ხომ ასე არ ჩანს! წუხელ, პირველად რომ გამოჩნდნენ, შევეცადე, რამდენიმე ცალი სარით ჩამომეგდო, მაგრამ ვერც ერთს ვერ მივწვდი და ამან ძალიან გამაოცა. მაშინ თიხის კოშტები დავუშინე, იქამდე ვესროდი, სანამ არაქათი არ გამომეცალა...

მაინც ვერაფერს გავხდი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ცაცია ვარ და სიმარჯვე მაკლია. მაშინაც კი, როდესაც განზრახ ვესროდი, ვერცერთს ვერ ვაგდებდი, თუმცა, მგონი, ურიგოდ არ ვუმიზნებდი, რადგან ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ იჭრებოდა შავი თიხის კოშტი ორმოცჯერ და ზოგჯერ ორმოცდაათჯერაც კი იმ ოქროსფერ მტევანში და მხოლოდ სასწაულის წყალობით ვერ აგდებდა ძირს ვარსკვლავებს. ცოტა კიდევ რომ გამეძლო, გამორიცხულია, ერთ მათგანი მაინც არ ჩამომეგდო.

ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა ვაღიარო რომ წავიტირე კიდეც. ჩემი ხნის არსებისათვის ეს მგონი, სავსებით ბუნებრივია. მერე ცოტა სული მოვითქვი, კალათი ავიღე და ჩვენი მოედნის კიდისაკენ გავემართე.

იქ ვარსკვლავები მიწიდან არც ისე შორსაა და ხელითაც შეიძლება მათი მოკრეფა, რაც, ცხადია, კარგი უნდა იყოს, რადგან ამის გაკეთება ფრთხილად შეიძლება, — ისე, რომ არც ერთი მათგანი არ დაიმსხვრეს. არ მეგონა, ასე შორს თუ მომიხდებოდა წასვლა და ბოლოს იძულებული გავხდი, ამ წამოწყებაზეც ხელი ამეღო. ისე დავიღალე. რომ ნაბიჯის გადადგმაც კი მიჭირდა; თანაც ფეხები გადამეყვლიფა და საშინლად ამტკივდა.

სახლში ვეღარ ვბრუნდებოდი, იმიტომ, რომ ძალიან შორს წავედი. ამასობაში საგრძნობლად აცივდა. კიდევ კარგი, რამდენიმე ვეფხვს გადავეყარე და მათ შორის მოვკალათდი. ასეთი სიამოვნება ჯერ არ განმეცადა; ვეფხვების ამონასუნთქი ძალიან საამო და კეთილსურნე-ლოვანი რამეა, — ისინი ხომ მარწყვით საზრდოობენ.

ისე, იქამდე ვეფხვი არ მენახა, მაგრამ ზოლებით მაშინვე გამოვიცანი. ისეთი ტყავი რომ მაშოვნინა, მშვენიერ კაბას შევიკერავდი.

დღეს მანძილში უკეთ ვერკვევი. ისე ძალიან მინდოდა ლამაზი რაღაც-რაღაცეების ხელში ჩაგდება, რომ გამწარებული ვცდილობდი მათ მოპოვებას, მაგრამ ზოგი იმაზე გაცილებით შორეული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა, ზოგი კი პირიქით, — მათგან სულ რაღაც ექვსი დუიმი მაშორებდა, როცა ეს მანძილი, ჩემის აზრით, ერთი ფუტი მაინც უნდა ყოფილიყო. ადვილი სათქმელია „ექვსი დუიმი“! რომ იცოდეთ, რამდენი ეკალი იყო თითო დუიმში! ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა. გარდა ამისა,

სრულიად დამოუკიდებლად ერთი აქსიომაც, ჩემი პირველი აქსიომა აღმოვაჩინე: „დაკაწრულ ექსპერიმენტს ეკლის ეშინია.“ ვფიქრობ, ჩემებრ ნორჩი არსებისათვის ეს ცუდი გამონათქვამი არ იყო.

გუშინ, შუადღის შემდეგ დიდხანს ვსდიე მეორე ექსპერიმენტს (შორი-ახლოს ვედექი კვალში), რათა გამერკვია, რისთვის იყო შექმნილი, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

მე მეგონა, მამაკაცი უნდა იყოს.

მამაკაცი ჯერ არასოდეს მინახავს, მაგრამ ის მამაკაცს ჰგავს და ვგრძნობ, რომ არის კიდეც.

ერთი აღმოჩენაც გავაკეთე: ეს არსება გაცილებით ძლიერ ცნობისწადილს მიღვიძებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეწარმავალი. ისე საკითხავია, მართლა ქვეწარმავალია, თუ არა. პირადად მე მგონია, რომ არის: გაბურძგნული თმა აქვს, ცისფერი თვალები, და საერთოდ, ძალიან წააგავს რეპტილიას. არ აქვს თეძოები; ქვემოთკენ სტაფილოსავით ვიწროვდება, ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რეპტილიაა... თუმცა, არ გამიკვირდება, რაღაც კონსტრუქციაც რომ აღმოჩნდეს.

პირველად მისი მეშინოდა და როცა კი ჩემკენ შემობრუნებულს დავინახავდი, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, — მეგონა, რომ ჩემი დაჭერა უნდოდა, მაგრამ თანდათანობით საწინააღმდეგოში დავრწმუნდი: ის ჩემგან თავდაღწევას ლამობდა.

აი, მაშინ კი გავთამამდი, მორცხვობას ვძლიე და რამდენიმე საათით ვდიე ოციოდე იარდის დაშორებით, რამაც ის ძალიან დააშინა. ბოლოს ისე დაფრთხა, რომ ხეზეც კი ავარდა. საკმაოდ დიდხანს ვუდარაჯე, მაგრამ

მერე მომბეზრდა და სახლში დავბრუნდი.

დღეს ყველაფერი თავიდან განმეორდა: კვლავ გამექცა და ხეზე აძვრა.

კვირა. — ჯერაც იქა ზის. ალბათ ისვენებს. მგონი, რაღაც ფანდთან გვაქვს საქმე: კვირა დღე უქმე არ არის, ამისათვის შაბათია დაწესებული, როგორც ვხედავ, ამ არსებას დასვენება ქვეყნად ყველაფერს ურჩევნია. ჩემი აზრით კი ამდენი დასვენება უსაშველოდ მომაბეზრებელია.

მე ისიც მღლის, ხის ქვეშ რომ ვზივარ და მას ვდარაჯობ. ძალიან მინდა შევიტყო, რისი მაქნისია. ჯერ არ მინახავს, რაიმე გაეკეთებინოს.

წუხელ მთვარე თავის ადგილზე დააბრუნეს და მეც გავიხარე! უთუოდ სანაქებო საქციელია!

მერე მთვარე ისევ ქვემოთ დაეშვა, მაგრამ ამას უკვე აღარ შევუშფოთებივარ. როცა ასეთი მეზობლები გყავს, სადარდებელიც არაფერია: ისევ ჩამოკიდებენ თავის ადგილას. მინდა, როგორმე მადლობა გადავუხადო. კარგი იქნებოდა, რამდენიმე გამეგზავნა, — ამდენი მაინც არაფერში გვარგია...

თუმცა, გვარგია კი არა, მარგია, რადგან, როგორც ვხედავ, იმ რეპტილიას ვარსკვლავები სულაც არ აინტერესებს.

მას საეჭვო გემოვნება აქვს და კეთილიც არ უნდა იყოს. გუშინ შებინდებულზე მის სანახავად გავეშურე და რას ვხედავ: ხიდან ჩამოსულა და პაწია, დაწინწკლული თევზების დაჭერას ლამობს, — აი, იმათსას, ტბაში რომ დაცურავენ. იძულებული შევიქენი საქმეში მიწის კოშტები ჩამერია,

რათა თევზებს შეშვებოდა და კვლავ ხეზე ამძვრალიყო. დავიჯერო, მხოლოდ ამისთვის არსებობს? ნუთუ გული არ აქვს? ნუთუ არ ებრალება ეს ნამცეცა არსებები? დავიჯერო, ასეთი უმსგავსო საქციელის ჩასადენად არის ჩაფიქრებული და შექმნილი? მგონი, მართლა ასე უნდა იყოს! მიწის კოშტებს რომ ვესროდი, ერთი კეფაში მოხვდა და იქვე გაირკვა, ლაპარაკი რომ შეძლებია. გული სიხარულით ამიძგერდა, — მე ხომ მაშინ პირველად გავიგე ვიღაცის ლაპარაკი (იქამდე მხოლოდ საკუთარი საუბარი თუ მსმენოდა)! სიტყვები ვერ გავარჩიე, მაგრამ მისი ნათქვამი ერთობ შთამბეჭდავად ჟღერდა.

როდესაც აღმოვაჩინე, რომ მეტყველების უნარი შესწევდა, უფრო მეტად დავინტერესდი მისით, ვინაიდან სჯა-ბაასი ძალიან მიყვარს.

მთელი დღე შემიძლია ვილაპარაკო. ის კი არადა, ღამეც არ ვაჩერებ ენას, კარგი მოსაუბრე ვარ. ა. ვინმესთან რომ შემძლებოდა ლაპარაკი, გაცილებით საინტერესო იქნებოდა. მაშინ ალბათ საერთოდ არ დავდუმდებოდი.

თუკი ეს რეპტილია მამაკაცია, მაშინ მისი აღმნიშვნელი სახელი ასე უნდა

ვაბრუნოთ: სახელობითი — მამაკაცი, მოთხრობითი — მამაკაცმა, მიცემითი — მამაკაცს, ნათესაობითი — მამაკაცის და ა.შ. ერთი სიტყვით, მე მას „მამაკაცად“ ჩავთვლი და ასევე მოვიხსენიებ, ვიდრე არ გაირკვევა, რომ რაღაც სხვა არსებასთან მაქვს საქმე.

ჰო, ასე მირჩევნია, თორემ კიდევ ბევრი კითხვა იბადება!

მომდევნო კვირა. კვირადღე. — მთელი კვირა კუდში დავდევდი და

ვცდილობდი გავცნობოდი. საუბრის წარმართვა საკუთარ თავზე ავიღე, რადგან ის ერთობ მორცხვი აღმოჩნდა, თანაც ეს ჩემთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, მას უხარია, მის პატივსაცემად სულ ერთთავად „ჩვენს“ გავიძახი „მეს“ ნაცვლად. მგონი, სიამოვნებს, საქმეში რომ ჩავრთე.

ოთხშაბათი. — ახლა უკვე დავახლოვდით და გვარიანადაც ვეწყობით ერთმანეთს.

იგი უკვე აღარ მიფრთხის და ეს, ცხადია, კარგი ნიშანია: ეტყობა, სიამოვნებს ჩემთან ურთიერთობა. ეს მეც მახარებს და ყველანაირად ვცდილობ, რამეში გამოვადგე, რათა მეტი ნდობა დავიმსახურო.

ამ ბოლო დღეებში საქმისგანაც გავათავისუფლე: მას არ უხდება სხვადასხვა საგნისა თუ არსების სახელდება. ეს მისთვის დიდი შვება და შეღავათი აღმოჩნდა, რადგან ამ საკითხში, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს; აშკარად მემადლიერება დახმარებისათვის. რომ მოკლა, რიგიან დასახელებას ვერ მოიფიქრებს, მაგრამ მე თავი ისე მიჭირავს, ვითომ ვერაფერსაც ვერ ვამჩნევ. როგორც კი რამე ახალი არსება მოგვევლინება, მაშინვე სახელს ვარქმევ, რათა მამაკაცმა ვერ მოასწროს თავისი უმეცრების გააზრება. არაერთგზის მიხსნია მსგავსი უხერხულობისგან. კარგია, მე რომ არ მაქვს ასეთი ნაკლი: საკმარისია, თვალი შევავლო რომელიმე ცხოველს და უკვე ვიცი მისი სახელი.

წამიერი დაფიქრებითაც კი არ ვიწუხებ თავს — სწორი დასახელება მაშინვე თავისით იბადება, თითქოს ზეციდან ჩამომესმაო და დარწმუნებული ვარ, ასეც ხდება. ვინაიდან კარგად ვიცი, რომ ჯერ კიდევ ერთი წამის წინ წარმოდგენაც არ მქონია ამ სიტყვაზე. ალბათ გარეგნული

იერისა და ქცევების მიხედვით ვარკვევ, თუ რა ცხოველია ჩვენს წინაში.

„დოდო“ რომ გამოჩნდა, მამაკაცმა ის გარეულ კატად მიიჩნია (თვალებზე შევატყვე). მე მის მდგომარეობიდან გამოყვანას დავეშურე, თანაც ისე, რომ მის სიამაყეს ჩრდილი არ მისდგომოდა. ჩვეულებრივი კილოთი წარმოვთქვი, თითქოს სასიამოვნო მოულოდნელობამ გამახარა: „ერთი ამას უყურე, ეს ხომ ჩვენი დოდოა!“ ისე წამოვიძახე ეს წინადადება, ფიქრშიაც კი არ გამივლია, მსგავსი ინფორმაციის მიწოდებას რომ საჭიროებდა და ტაქტიანად ავუხსენი (ვითომ არც არაფერს ვუხსნიდი), საიდან ვიცოდი დოდო, რომ იყო ის არსება. გინდაც ცოტა გული დასწყვეტოდა, მე რომ ვიცოდი, რა ფრინველი მოგვევლინა და მან კი არა, მაინც აშკარა იყო, რომ ჩემით აღფრთოვანებული დარჩა. ეს ძალიან მეამა და დაძინებამდე სულ ერთთავად დიდის კმაყოფილებით ვიხსენებდი იმდღევანდელ ამბავს.

რა მცირედი გვანიჭებს ბედნიერებას, როცა ვგრძნობთ, რომ ეს მცირედი დამსახურებულად მოვიპოვეთ!

ხუთშაბათი. — ჩემი პირველი სადარდელი: გუშინ ის მთელი დღე გამირბოდა და მგონი არ სურდა მასთან რომ მესაუბრა.

ამის დაჯერება, ნამდვილად გამიჭირდა, ვფიქრობდი, რაღაც გაუგებრობაა-მეთქი (მე ხომ ასე ძალიან მიყვარს მის საზოგადოებაში ყოფნა და მისი მოსმენა). რატომ უნდა ყოფილიყო ასე ცუდად განწყობილი ჩემს მიმართ, თუკი არაფერი დამიშავებია? მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ მართლაც თავს მარიდებდა. წავედი და დიდხანს ვიჯექი მარტო იმ ადგილას, სადაც პირველად მოვკარი მას თვალი: იმ დილას, როცა ჩვენ ამ ქვეყანას მოვევლინეთ, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას წარმოადგენდა ის,

და სავსებით გულგრილადაც ვეკიდებოდი. ახლა კი, ის ადგილი სევდას მგვრიდა, ყოველი წვრილმანი მას მახსენებდა და გული მეწურებოდა. ის გრძნობა რაღაც სიახლე იყო ჩემთვის, — თავად ვერ გამეგო, რაზე ვწუხდი. ადრე ასეთი რამ არ განმეცადა: ეს ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული და ვერ ვხვდებოდი, რა მემართებოდა.

როცა ჩამოღამდა, ვიგრძენი, რომ მარტოობას ველარ ავიტანდი და იმ ახალ სადგომს მივადექი, რომელიც მას თავისთვის გაემართა. მინდოდა მეკითხა, რა დაგიშავე და როგორ მოვიქცე, ჩემზე გული რომ მოგიბრუნდეს-მეთქი. იმას კი წვიმაში გარეთ გამომაგდო... და ეს იყო ჩემი პირველი უბედურება.

კვირა. — ახლა ყველაფერი რიგზეა და მეც ბედნიერი ვარ. ვცდილობ, აღარ ვიფიქრო იმ მძიმე დღეებზე.

მინდოდა რამდენიმე ნაყოფი ჩამომეგდო იმ ცნობილი ვაშლის ხიდან და მას გავმასპინძლებოდი, მაგრამ აკი ვთქვი, ვერა ვარ მეთქი მარჯვე არსება. ამ საქმეში ხელი მომეცარა, თუმცა, ვფიქრობ, ჩემმა კეთილმა განზრახვამ გაახარა.

იმ ვაშლებთან მიკარება აკრძალული გვაქვს და მანაც მითხრა, შეეშვი, რამე არ მოიწიოო. კი მაგრამ, თუ მას გავახარებ, რაში მენაღვლება, რას მოვიწევ და რას არა!

ორშაბათი. — დღეს მას ჩემი სახელი ვუთხარი. მეგონა რაღაც ინტერესს მაინც გამოიჩენდა, მაგრამ მან ყურიც კი არ შეიბერტყა. რა უცნაურია! იმას რომ ჩემთვის თავისი სახელი ეთქვა,

გულგრილი არაფრით დავრჩებოდი! ასე მგონი, მისი სახელის

ჟღერადობა სმენას დამიტკბობდა.

ის ძალიან ცოტას ლაპარაკობს. ალბათ იმიტომ რომ დიდი საზრიანობით არ გამოირჩევა. ამას თავადაც გრძნობს და ცდილობს არ გაამჟღავნოს თავისი ნაკლი. თუ ეს გულს უღრღნის, ძალიან მეცოდება, ვინაიდან ჭკუა დიდი არაფერია...გული, აი რა არის მთავარი! მინდა როგორმე შევაგნებინო რომ მოყვარული გული ფასდაუდებელი საუნჯეა, გულამოცლილი ცივი გონება კი — სიღატაკე!

მართალია, ძალიან ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ საკმაოდ მდიდარ ლექსიკას ფლობს.

დღეს დილას ერთი შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა. ეტყობა, თვითონაც მიხვდა, რიგიანი რაღაც რომ წამოსცდა და მერე, ვითომდა უნებურად, კიდევ ორჯერ გაიმეორა. ვერ დავიჟინებ, ეს შესაშური ოსტატობით გააკეთა-მეთქი, მაგრამ ხომ ფაქტია, — არ ყოფილა გარკვეულ ალღოს მოკლებული. დარწმუნებული ვარ, ასეთ ნერგს თუ გაახარებ, კარგ ნაყოფსაც გამორჩები!

ნეტავ საიდან მოიტანა ის სიტყვა? რაღაც არ მახსოვს, ოდესმე წარმომეთქვას.

აუ, ჩემი სახელი კი მართლაც არ აინტერესებს. შევეცადე, მისთვის არ მეგრძნობინებინა გული რომ გამიტყდა, მაგრამ, ვშიშობ, ამჯერადაც მომეცარა ხელი. მერე წავედი, ხავსიან სანაპიროზე ჩამოვჯექი და ფეხები წყალში ჩავუშვი. ყოველთვის აქეთკენ მოვეშურები, როცა მარტოობა მტანჯავს და ვინმესთან ურთიერთობა მენატრება.

ცხადია, ის ყველაფერს ვერ შემიცვლის, — ის, ტბაში მოლივლივე

მწყაზარი თეთრი არსება, — მაგრამ მასში რაღაც ხეირი მაინც არის: სრული სიმარტოვეს ვინმესთან ურთიერთობა მიჯობს! როცა მე ვლაპარაკობ, ისიც ლაპარაკობს; როცა მოვიწყენ ისიც მოწყენილია; ჩემი

ესმის და თანამიგრძნობს; მეტყვის ხოლმე: „გულს ნუ გაიტეხ, საბრალო, მარტოსულო გოგონა, მე ვიქნები შენი მეგობარი.“ და მართლაც, ის ჩემი ერთგული მეგობარია, თანაც ერთადერთი მეგობარი. ის ჩემი დაა.

რა დამავიწყებს იმ წუთებს, თეთრმა არსებამ პირველად რომ მიმატოვა! ო, როგორ დამიმძიმდა გული! მაშინ ვთქვი: „მის გარდა არავინ მიმაჩნდა ქვეყნად, და ისიც გაქრა!“ მერე სასოწარკვეთილმა წამოვიძახე: „ო, გასკდი, გულო! აღარ ძალმიძს სიცოცხლე, აღარ!“ სახეზე ხელები ავიფარე და უნუგეშოდ ავქვითინდი, მაგრამ ცოტა ხანში, ხელები რომ დავუშვი, ის კვლავ იქ იყო, — თეთრი, მოელვარე და ულამაზესი... და მეც სიხარულით გადავეხვიე.

აი, ეს იყო ნამდვილი ნეტარება! ბედნიერება აღრეც განმიცდია, მაგრამ ეს ბედნიერებაზე მეტი გახლდათ! ამის შემდეგ მასში ეჭვი აღარ შემპარვია. ზოგჯერ სადღაც იკარგებოდა, — ხან ერთი საათით, ხანაც თითქმის მთელი დღით....მე კი ველოდი და მჯეროდა! სულ ვამბობდი:

„ალბათ რამე საქმე გამოუჩნდა, ანდა სულაც სამოგზაუროდ წავიდა. უთუოდ დაბრუნდება.“ და მართლაც, ყოველთვის ბრუნდებოდა. ის ერთობ მორიდებული, მფრთხალი არსების შთაბეჭდილებას ტოვებს და არასოდეს ჩნდება ბნელი ღამით, მაგრამ როგორც კი მთვარე ამოდის, მაშინვე მენახება.

თავად მე სიბნელის არ მეშინია...თუმცა ის ხომ ჩემზე ახალგაზრდაა:

აკი ჯერ მე დავიბადე და მერე — ის! ხშირად, ძალიან ხშირად მივდივარ მასთან; ის არის ჩემი ნუგეში და სასოება მძიმე წუთებში, ასეთი წუთები კი ბევრია ჩემს ცხოვრებაში.

საშაბათი. — მთელი კვირა ვშრომობდი, — ჩვენს სამფლობელოს ვაწესრიგებდი და ვცდილობდი, მამაკაცის თვალში არ მოვხვედროდი. ვიმედოვნებდი, აი, მოვენატრები და მოვა-მეთქი, მაგრამ ის არ მოდიოდა.

შუადღისას, როცა საქმე მოვითავე, თავს დასვენების უფლება მივეცი: ფუტკრებსა და პეპლებს ვეთამაშებოდი და ყვავილნარში დავნავარდობდი. ო. ეს ყვავილები! ო, ეს უმშვენიერესი ქმნილებანი! ისინი ხომ შემოქმედის ღიმილს იჭერენ და შემდეგ მას თავიანთ გულში ავანებენ! ყვავილები დავკრიფე, გვირგვინები დავწანი და ასე მორთულ-მოკაზმული გეახელით საუზმე (როგორც წესი, ვაშლებით ვსაუზმობ). მერე ჩრდილში ჩამოვჯექი... ველოდი და ველოდი.

დამქანცა ლოდინმა, ის კი არ ჩანდა, თუმცა, გინდაც მოსულიყო, კარგი არაფერი მოხდებოდა: ყვავილები არ უყვარს. ამბობს, ნაგავია და მეტი არაფერიო; ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს და ჰგონია, ამით ცხოვრებისეულ წვრილმანებზე მაღლდება! არც მე ვუყვარვარ, არც ყვავილები და არც საღამოს ლამაზი ცა. უყვარს კი რამე? როგორ არა! სიამოვნებით აშენებს რაღაც ქოხმახებს, რათა სანატრელ. მაცოცხლებელ წვიმას დაემალოს.; კიდევ ნესვებს უტყაპუნებს ხელის გულებს, აგემოვნებს ყურძენს, ხელით სინჯავს ყველა ნაყოფს — ასე ამოწმებს, ეს ყველაფერი რიგიანად მწიფდება თუ არა. აი, სულ ეს არის, რაც მაგას უყვარს!

ერთხელაც ხმელი, ფოთლებგაცლილი ტოტი მიწაზე დავდე და შევეცადე მეორე ტოტით გამეხვრიტა. რაღაც ცდა მქონდა ჩაფიქრებული

და იმიტომ! მაგრამ, ვაი, რა შიში ვჭამე! გახვრეტილი ტოტიდან რაღაც ამოვარდა, — მსუბუქი, მჭვირვალი, მოცისფრო...ის ტოტი მოვისროლე და იქიდან მოვკურცხლე, შემეშინდა, რამე სული ხომ არ არის-მეთქი...

უკან მოვიხედე, ის კი არ მომდევდა.

კლდეს მივეყრდენი, ცოტა სული რომ მომეთქვა და ხელ-ფეხის მოძრაობაც აღმედგინა. მერე ფეხაკრეფით დავბრუნდი, მაგრამ სრულ მზადყოფნაში გახლდათ: რამე რომ ყოფილიყო, კვლავ გაქცევით ვუშველიდი თავს. ადგილზე მისულმა ვარდის ბუჩქის ტოტები გადავწიე

და იქიდან გავიჭყიტე. აფსუს, მამაკაცი რომ არ იყო ახლო-მახლო: იმ წამს ჩემს ყურებას არაფერი სჯობდა! სული ის აღარ დამხვედრია. ახლოს მივედი და რას ვხედავ! ხმელი ტოტის ნახვრეტში რაღაც მოწითალო მტვერი დაგროვილა. თითით შევეხე — და შევყვირე. ხელიც მაშინვე უკან წავიღე.

თითი საშინლად ამეწვა, ამიტომ სასწრაფოს პირისაკენ გავაქანე, რიგ-რიგობით წავიხტუნე ორივე ფეხზე, ცოტა წავიკვნესე... და შვებაც ვიგრძენი. ცნობისწადილი მკლავდა და მეც გამოკვლევას შევუდექი.

ძალიან მაინტერესებდა, რა იყო ის მოწითალო მტვერი. უცბათ გონება გამინათდა: ცეცხლი! სიმართლე გითხრათ, ადრე ასეთი რამე არ მენახა და არც მისი დასახელება ვიცოდი, მაგრამ მაინც ღრმად გახლდით დარწმუნებული, რომ ეს ცეცხლი იყო და ამიტომაც უყოყმანოდ დავარქვი სახელი.

ისეთი რაღაც შევქმენი, რაც აქამდე არ არსებობდა: სამყაროს უთვალავ საგნებს კიდევ ერთი დავუმატე. ეს რომ გავიაზრე, სიამაყე

დამეუფლა. მინდოდა გავქცეულიყავი, მამაკაცი მომეძებნა და მისთვის ჩემი მიღწევის შესახებ მემცნო (რათა მის თვალში ავმაღლებულიყავი), მაგრამ ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ ამ განზრახვაზე ხელი ავიღე. მაშინვე მკითხვადა რაში გამოგვადგებაო...

აბა,. ამაზე რა უნდა მეპასუხა? დიდი რამე, თუ ვერაფერში გამოვიყენებთ! ლამაზი ხომ არის, ძალიან ლამაზი.

ერთი სიტყვით, ღრმად ამოვიოხრე და გადავწყვიტე, მისთვის არ გამეზიარებინა ჩემი სიხარული; ჩემი აღმოჩენა ხომ მართლაც ბევრს ვერაფერს გვარგებდა, — მისით ვერც ქოხმახი აშენდებოდა, ვერც ნესვის ჯიშის გაუმჯობესება მოხდებოდა და ვერც ხილის დამწიფების დაჩქარება. ცხადია, უსარგებლო რამ იყო, — აშკარა სისულელე და ამაოება... მამაკაცი სულაც არ მოიხიბლებოდა მისით და არც ჩემს გაქირდვას მოერიდებოდა. მე კი ძალიანაც მომწონს ჩემი აღმოჩენა და ასეთი რამ წარმოვთქვი: „ო, ცეცხლო, ცეცხლო! მე შენ მიყვარხარ, სანუკვარო, წითლად მოელვარე ქმნილებავ! მიყვარხარ იმიტომ რომ ლამაზი ხარ, მშვენიერიც და მეც სხვა რაღა მინდა?“ ამას ვამბობდი და თან ერთი სული მქონდა, გულზე მიმეკრა, მაგრამ გრძნობებს მოვერიე... და მაშინვე ახალი აფორიზმი გამოვაცხვე: „დამწვარ ექსპერიმენტს ცეცხლის ეშინია!“ ეს აფორიზმიც ჭკუა-გონების ნაყოფია, ისე ჰგავს ჩემს პირველ გამონათქვამს, ვშიშობ, პლაგიატის შთაბეჭდილება არ დატოვოს.

კვლავ შევუდექი საქმეს: ერთი პეშვი წითელი მტვერი მოვაგროვე და გამხმარი ბალახის კონაზე დავყარე. მინდოდა სახლში წამეღო რათა, როცა კი მომეპრიანებოდა, მეთამაშა...

მაგრამ ამასობაში ქარმა დაბერა, ბალახი ჰაერში აიტაცა და იმანაც

ისე საშინლად დამისისინა, რომ მაშინვე მოვისროლე და იქიდან მოვკურცხლე. როდესაც უკან მოვიხედე, იქ ცისფერი ღრუბლისებრი სული ბოლქ-ბოლქვად ამოდიოდა ზემოთ და იკლაკნებოდა. იმ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, იქამდე კვამლზე არაფერი მსმენოდა.

სულ მალე კვამლიდან კაშკაშა წითელ-ყვითელი ენები ამოიწვერა და მეც იმ ენებს იქვე გამოვუნახე დასახელება — ალი! არც ამჯერად შევმცდარვარ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირველი ალი იყო დედამიწაზე... დამაბრმავებელი ალი ხეებს ახტებოდა, ხან კვამლის ფარდიდან გამოიჭრებოდა, ხან მის მიღმა მემალებოდა. უნებურად ტაში შემოვკარი, ავკისკისდი და ავცეკვდი. ეს ყველაფერი საოცრება იყო, — თვალწარმტაცი და უცხო სანახაობა!

ამასობაში მამაკაციც მოიჭრა, შეჩერდა, თვალებგაფართოებული მიაშტერდა ცეცხლს და კარგა ხანს კრინტიც არ დაუძრავს. მერე მკითხა, ეს რაღაააო. ნეტავ ასეთი კატეგორიული კითხვა რაღა იყო! იძულებული შევიქენი მეპასუხა...

ვუთხარი, ცეცხლია — მეთქი. რა ჩემი ბრალია, თუკი გული მოსდის, როცა რამის ახსნა სჭირდება. სულაც არ მინდოდა მისი გაბრაზება. ჯერ იყუჩა, მერე კი მკითხა:

„აქ საიდან გაჩნდა?“

კვლავ პირდაპირი კითხვა, რომელიც ასე პირდაპირ პასუხს მოითხოვს: „მე გავაჩინე“.

ცეცხლი კი სულ უფრო და უფრო შორს მიიწევდა. მამაკაცი გადა-მწვარ მდელოებს მიადგა, მიწას დახედა და მკითხა:

„ეს რაღაა?

„ნახშირი“

პატარა ნამცეცი აიღო, უკეთ რომ გაესინჯა, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა და ისევ თავის ადგილას დააბრუნა. მერე სულად წავიდა. ასეთია, არაფერი აინტერესებს.

მე კი ყველაფერი მაინტერესებს. მიწა ნაცრით დაფარულიყო — რუხი, რბილი და ლამაზი ნაცრით.

მეც მაშინვე მივხვდი, ნაცარი რომ იყო. კიდევ იქ ნაღვერდალი დავინახე და მაშინვე გავიფიქრე, ეს ხომ ნაღვერდალია მეთქი. მერე იმ ნაღვერდალში ჩემი ვაშლებიც აღმოვაჩინე და სასწრაფოდ ავაგროვე. ამან ძალიან გამახარა, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და მადასაც არ ვუჩივი. მალე სიხარული იმედგაცრუებით შემეცვალა. ყველა ვაშლს კანი გადასკდომოდა და აღარაფრად ვარგოდა. თუმცა, იქვე გაირკვა, რომ მხოლოდ შესახედავად არ ვარგოდა კანგადამსკდარი ვაშლი, თორემ, ისე უმზე უფრო გემრიელი აღმოჩნდა.

ცეცხლი მართლაც ძალიან ლამაზი და დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს სარგებლობასაც მოიტანს.

პარასკევი, — ორშაბათ საღამოს სულ ერთი წუთით ვნახე მამაკაცი. ვიმედოვნებდი, შემაქებდა ასე გულმოდგინეს რომ მომყავდა წესრიგში ჩვენი ადგილ-მამული (მე ხომ მუხლჩაუხრელად ვშრომობდი და მხოლოდ კეთილი განზრახვა მამოძრავებდა) მას კი არაფრით გამოუხატავს აღფრთოვანება: ზურგი შემაქცია და წავიდა. ჩემზე ისედაც ნაწყენი იყო. ამას წინათ კიდევ ერთხელ შევეცადე, დამერწმუნებინა, რომ არ ღირდა

ტბის გადაცურვა. საქმე იმაშია, რომ ცეცხლმა ახალი გრძნობა გამინვითარა, — რომელიც არც სიყვარულს ჰგავს და არც სევდას... და არც არაფერს! ეს შიშია — ამაზრზენი გრძნობა! ნეტავ არასოდეს განმეცადა! ის სიცოცხლეს მიმწარებს, ბედნიერებისგან მძარცვავს, მაიძულებს შევკრთე და ვიცახცახო. მამაკაცს ვერაფერი შევასმინე ამ გრძნობასთან დაკავშირებით, რადგან მსგავსი რამ არ განუცდია და აქედან გამომდინარე, ჩემი გაგება არ ხელეწიფება.

ადამის დღიურიდან (ნაწყვეტი):

„ალბათ არ უნდა დავივიწყო, რომ ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თითქმის გოგონა, და ზოგი რამ ეპატიება. ძალიან ცნობისმოყვარეა, ყველაფერი აინტერესებს, სიცოცხლით სავსეა... მისთვის სამყარო საოცრებაა, იდუმალება, სიხარული, ნეტარება.

როცა ახალ ყვავილს აღმოაჩენს, ისეთ აღტაცებაში მოდის, რომ ვერც კი აგიღწერთ, — ეფერება, ეთამაშება, ესაუბრება, ყნოსავს და ათას საალერსო სახელს ჩასჩურჩულებს.

კიდევ ფერებზე ეკარგება ჭკუა: მოყავისფრო კლდეები, ყვითელი ქვიშა, ნაცრისფერი ხავსი, მწვანე ფოთლები, ლურჯი ცა, მოვერცხლისფრო-მოვარდისფრო აისი, ხეობაში გაწოლილი იისფერი ჩრდილები, მზის ჩასვლისას მეწამულ ოკეანეში მოცახცახე პატარა ოქროსფერი კუნძულები, ცაზე მოცურავე მქრქალი მთვარე, უსასრულო სივრცეში ალმასივით მოელვარე ვარსკვლავთა გუნდი.... ყველაფერ ამას ჩემის ღრმა რწმენით, არანაირი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია, მაგრამ რადგან აქ ფერებია და სილამაზე, მისვთის ეს უკვე საკმარისია — გიჟდება ისე მოსწონს! სულ ერთთავად რომ არ ფაციფუცობდეს და ორი სამი

წუთით მაინც მოისვენოს, მის ყურებას არაფერი აჯობებს. ვფიქრობ, სიამოვნებით დავიწყებდი ცქერას, რადგან თანდათანობით ვრწმუნდები, მართლა წარმტაცი არსება რომ არის: მოქნილი, ნარნარა, წერწეტაც და მკვრივიც... ერთხელაც ვხედავ კაჭარზე დგას, მარმარილოსავით თეთრი, მზის სხივებში გახვეული... თავი უკან გადაუგდია, თვალებს ხელებით იჩრდილავს და ცაში მონავარდე ჩიტებს აჰყურებს... აი, მაშინ კი მივხვდი, რომ ლამაზია!

ორშაბათი, შუადღე. — ვერ დავასახელებ ქვეყნად თუნდაც ერთ საგანს, ან არსებას, მის ცხოველ ინტერესს რომ არ იწვევდეს.

პირადად მე, ზოგიერთი ცხოველი ყურადღების ღირსადაც არ მიმაჩნია, იმისათვის კი ასეთი რამ წარმოუდგენელია: ერთმანეთისგან არ ასხვავებს, ყველა ერთნაირად უყვარს, ნამდვილ საუნჯედ თვლის და მზად არის, ყოველი ახლად მოვლენილი სულდგმული გულში ჩაიკრას.

როდესაც ჩვენ ბანაკში უშველებელი ბრონტოზავრი შემოეხეტა, რა ძვირფასი შენაძენიაო, წამოიძახა, მე კი მისი გამოჩენა უბედურებად აღვიქვი. აი, ჩვენს შეხედულებათა დისჰარმონიის საუკეთესო მაგალითი. იმას ბრონტოზავრის მოშინაურება უნდოდა, ხოლო მე მზად გახლდით, იმ დაუპატიჟებელი სტუმრისათვის დამეტოვებინა ჩვენი ნაკვეთი და სხვაგან გადავსახლებულვიყავით.

ის გაიძახის, ბრონტოზავრს თუ კარგად მოვეპყრობით, მის მოთვინიერებასაც შევძლებთ და ჩვენი საყვარელი ფინია იქნებაო. მე ვუთხარი, ოცდაერთი ფუტი სიმაღლისა და ოთხმოცდაოთხი ფუტის სიგრძის ფინიის ბინაში გაჩერება მთლად მოსახერხებელი არ უნდა იყოს, ვინაიდან არ გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ყოველგვარი

ბოროტი განზრახვის გარეშე, სახურავზე შემოჯდეს და ჩვენი სახლი ლავაშივით გააბრტყელოს, საკმარისია, ერთხელ ჩახედო თვალებში და მაშინვე მიხვდები, თუ რა დაბნეული ვინმეა — მეთქი.

იმან კი დაიჟინა, ვერაფრით შეველევი და არც ვაპირებ მასთან განშორებას, ამას გვიჯობს ფერმა დავაარსოთ, ვწველოთ და ვწველოთ და, საერთოდ, მერძევეობას მივყოთ ხელიო. მე თავი შორს დავიჭირე, რადგან ეს სარისკო საქმედ მივიჩნიე.

ჯერ ერთი, ის ურჩხული ისეთი სქესის წარმომადგენელი გახლდათ, ვერაფრით რომ ვერ მოწველიდით, და მერე კიდევ, მისადგმელი კიბეც არ გაგვაჩნდა. მაშინ იმან იმ ცხოველზე ამხედრება და არემარის დათვალიერება განიზრახა. ბრონტოზავრის კუდის ასეთი ორმოცდაათ — ორმოც ფუტიანი ბოლო მიწაზე ეგდო გადაჩეხილი ხის მსგავსად და იმანაც მისი მეშვეობით იმ ცხოველის ზურგზე აცოცება მოინდომა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მხოლოდ „აღმართის“ ციცაბო ადგილს მიაღწია და თავქვე დაეშვა, ვინაიდან კუდი მეტისმეტად სრიალა რამ აღმოჩნდა და დროზე რომ არ მეტაცა ხელი იმ ჯიუტისათვის, ნაწილ-ნაწილ ასაკრეფი გამიხდებოდა.

გგონიათ, ამის მერე მაინც მოისვენა? არა და არა! ვიდრე ყველაფერს არ გაჩხრეკს, თავისი დაემართება! რა ქნას? არ ცნობს ცდით განუმტკიცებელ თეორიებს. უნდა ვაღიარო, რომ ეს სულაც არ არის ცუდი თვისება; პირადად მე ორივე ხელით მივესალმები. ვგრძნობ, მეც გადმომედო მისგან ეს თვისება და უფრო მეტადაც შევისისხლხორცებდი, მასთან ასეთი იშვიათი ურთიერთობა რომ არ მქონოდა! ჰო, მართლა, იმ გოლიათთან დაკავშირებით კიდევ ერთი იდეა დაებადა: თუ მოვიშინაურებთ და დავიმეგობრებთ, შეგვიძლია მდინარეზე „გავდოთ“ და

ხიდად გამოვიყენოთ.

მაგრამ გაირკვა, რომ ის საბრალო ურჩხული უკვე საკმარისზე მეტად იყო მორჯულებული (ყოველ შემთხვევაში), მას სულ თვალებში შესცინებდა და ისიც თავისი იდეის განხორციელებას შეუდგა, მაგრამ ხელი მოეცარა: როგორც კი მდინარეზე დააყენებდა და თავად ნაპირს მიაშურებდა, რათა მასზე აცოცებულიყო, ბრონტოზავრი წყლიდან ამოდიოდა და უკან დაედევნებოდა ხოლმე, თითქოს დასაქოქ მთას აუდგამს ფეხიო! რა გასაკვირი ეგ იყო: განა ყველა ცხოველი ეგრე არ იქცევა?

პარასკევი. — უკვე ოთხი დღეა მამაკაცისათვის თვალი არ მომიკრავს, ძნელია ასეთი ხანგრძლივი მარტოობა. მაგრამ მიჯობს, მარტოსული ვიყო, ვიდრე ვინმეს თავი მოვაბეზრო. რა ვქნა, მიჭირს საზოგადოების გარეშე! და ამიტომაც ცხოველებს დავუმეგობრდი; საყვარლები და ლამაზები არიან, კეთილი ზნითაც გამოირჩევიან და თავაზიანობითაც. არასოდეს მოიღუშე-ბიან, არასოდეს გაგრძნობინებენ, უდროოდ დამადექი თავზეო. პირიქით, — სულ გიღიამიან, კუდს აქიცინებენ (თუკი აქვთ უკანასკნელი) და მუდამ მზად არიან შენთან ერთად ინავარდონ; არც ხანმოკლე ექსკურსიებზე წამოყოლას დაგამადლიან. ერთ სიტყვით, რაც არ უნდა შესთავაზო, ყველაფერზე თანახმა არიან.

პირადად მე მათ ჭეშმარიტ ჯენტლმენებად ვთვლი! მთელი ეს დღეები დროს შესანიშნავად ვატარებდით და ერთხელაც არ შევუწუხებივარ მარტოობას.

თუმცა, რა მარტოობაზეა ლაპარაკი? იმდენნი არიან, რომ ზოგჯერ ოთხ თუ ხუთ აკრსაც იკავებენ... სათვალავი აერევა კაცს! როცა კლდიდან

გადაჰყურებენ ამ ჭრელი ბალნის ზღვას,

— ასეთ მხიარულს, თვალწარმტაცს... როცა ხედავ, როგორ ელვარებს მზეზე ათასი ლაქა, შეიძლება იფიქრო, მართლა ზღვაა ჩემს ფერხთითო, თუმცა მე ხომ ვიცი, რომ ასე არ არის! ხანდახან ხალისიანი ფრინველების მთელი გუნდი ჩაგიქროლებს ფრთების ტყლაშუნით და ახლა ამ ბუმბულების ზღვის ხილვისას ნეტარებ... იდექი და უყურე, როგორ ციმციმებს და ელვარებს სამყაროს ფერი...მეტი რაღა გინდა ადამიანს!

ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს და მეც ბევრი რამ ვნახე ამქვეყნად, ზოგჯერ მეჩვენება, რომ მთელი სამყარო მოვიარე. ასე და ამრიგად, მე პირველი და ჯერ ჯერობით ერთადერთი მოგზაური ვარ დედამიწაზე„ რომ იცოდეთ, რა დიდებული რამ არის მოგზაურობა! საქმე რომ გავიიოლო, ძირითადად ვეფხვზე ან ავაზაზე ამხედრებული ვმოგზაურობ. მათ რბილი, მომრგვალებული ზურგი აქვთ და იქ ჯდომა ერთ რამედ ღირს! თანაც რა ლამაზები არიან! მაგრამ შორეული მოგზაურობისას, ანდა მაშინ, რომ გარემოთი ტკბობას ველტვი, სპილოს შეწუხება მიწევს. ხორთუმით ამწევს და ზურგზე მომიგდებს; ჩამოსვლა კი დახმარების გარეშეც შემიძლია.

შესვენებას რომ გადავწყვეტთ, სპილო მიწაზე ჯდება და მერე მისი ზურგიდან ჩამოსრიალება სულაც არ მიჭირს.

ცხოველებიც და ფრინველებიც ერთმანეთს ემეგობრებიან და არასოდეს მოსდით უთანხმოება. მათ ლაპარაკიც შეუძლიათ და მესაუბრებიან კიდეს, მაგრამ, მგონი, ეს რაღაც უცხო ენა უნდა იყოს, რადგან თავსა და ბოლოს ვერ ვუგებ. მათ კი, იშვიათად ჩემი ნათქვამი რომ ვერ გაიგონ. ყველაზე კარგად ძაღლსა და სპილოს ესმით ჩემი და მეც სირცხვილით ვიწვი: ეს ხომ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ჩემზე გონიერები

არიან და მეც იძულებული ვარ, ვაღიარო მათი უპირატესობა. ეს, ცოტა არ იყოს, საწყენია, რადგან ძალიან მინდა, მე ვიყო მთავარი ექსპერიმენტი... და ვიმედოვნებ, რომ ვიქნები კიდეც!

უკვე ბევრი რამ შევიტყვე და განათლებულიც მეთქმის (რითაც ადრე ნამდვილად ვერ დავიკვეხნიდი). იყო დრო, როდესაც მართლაც რომ უმეცარი გახლდით.

პირველ ხანებში ვერაფრით გამერკვია, როდის აედინებოდა წყალი მთაზე. მაშინ ბევრი არაფერი გამეგებოდა და ამას საშინლად განვიცდიდი. ახლა კი შემიძლია მშვიდად ვიყო. ჩემი დაკვირვების თანახმად, დავასკვენი, რომ წყალი არასოდეს არ აედინება მთაზე დღისით; ასე მხოლოდ სიბნელეში ხდება. მივხვდი, რატომაც! ტბა არასოდეს შრება, მაგრამ თუ წყალი ღამით თავის ადგილას არ დაბრუნდება, მის დაშრობას წინ არაფერი დაუდგება. საერთოდ ყველაფერი ექსპერიმენტის მეშვეობით უნდა შემოწმდეს; ამ შემთხვევაშიც, მართლაც დაეუფლები ცოდნას, ხოლო ცარიელი ვარაუდითა და ტვინის ჭყლეტით ვერანაირ განათლებას ვერ მიიღებ.

ზოგიერთი მოვლენის არსში ჩაწვდომა შეუძლებელია. მაგრამ ამას ვერ მიხვდებით, თუ მათ ამოცნობას შეეცდებით და ათას ვარაუდს გამოთქვამთ.

გიჯობთ, მოთმინება იქონიოთ და იქამდე ატაროთ ცდები, ვიდრე არ აღმოაჩენთ, რომ არავითარი აღმოჩენის გაკეთება არ შეგიძლიათ. სწორედ ეს გახლავთ მომნუსხველი, — ამ დროს სამყარო ერთობ საინტერესოდ გეჩვენებათ. ექსპერიმენტები რომ არ არსებობდეს, ცხოვრება საშინლად მოსაწყენი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ისიც საქმეა, ეცადო რაღაცის

აღმოჩენას და ვერ აღმოაჩინო. ეს კიდევ უფრო საინტერესოა, ვიდრე იწვალო, იწვალო და ბოლოს აღმოაჩინო! აი იმ ჩანჩქერის საიდუმლო ნამდვილი ნეტარება იყო, ვიდრე ახსნას მოვუძებნიდი. ამის შემდეგ ამ მოვლენამ მთელი მიმზიდველობა დაკარგა და მეც ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც სანუკვარს გამოვეთხოვე.

აი, მაგალითად, ექსპერიმენტის მეშვეობით დავადგინე, რომ ხე დაცურავს, აგრეთვე ხმელი ფოთლები და ყველანაირი ბუმბული....და კიდევ უთვალავი რამ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოდიც დაცურავ, მაგრამ იძულებულები ვართ, მხოლოდ ვაღიაროთ ეს ფაქტი, ვინაიდან მისი ცდის საშუალებით დამტკიცება გამორიცხულია...

ჯერჯერობით. თქმა აღარ უნდა, ამასაც მოვუხერხებ რამეს, მაგრამ მაშინ მთელი იდუმალება გაქრება და რაღა გამოვიდა! ამ საკითხზე ფიქრისას სევდა მეძალება: ასე ხომ თანდათანობით ყველაფერს აღმოვაჩენ და მალე ასაღელვებელიც არაფერი მექნება! მე კი ასე ვერ ვიცხოვრებ. წუხელ თვალი არ მომიხუჭავს, — სულ ამაზე ვფიქრობდი.

ადრე ვერაფერი გამეგო, რატომ მოვევლინე ამ ქვეყანას, მაგრამ ახლა, მგონი მივხვდი: იმიტომ, რომ საოცარი სამყაროს იდუმალება ამომეცნო, ბედნიერი ვყოფილიყავი და მადლი შემეწირა შემოქმედისათვის. ვფიქრობ, წინ კიდევ ბევრი აღმოჩენა მელის, ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ. რომ ასე იქნება. და თუ დინჯად ვიმოქმედებ და არ ავჩქარდები, კარგა ხანს მომიწევს კარგა ბევრი საიდუმლოს ამოხსნა (ამის იმედიც მაქვს). აი, ნახეთ: თუ ბუმბულს ააგდებ ჰაერში, ის იფარფატებს, იფარფატებს და მერე გაქრება.

მაგრამ, აბა, ახლა თიხის კოშტი ააგდე, — მსგავსი არაფერი მოხდება: სულ ძირს ეცემა. არაერთხელ ჩამიტარებია ეს ექსპერიმენტი და ისიც სულ ერთი და იგივე შედეგით გვირგვინდებოდა. ნეტავ რატომ? ცხადია, ვხვდები, რომ სინამდვილეში ის სულაც არ ვარდება ძირს, მაგრამ რატომ უნდა მეჩვენებოდეს მაინცდამაინც ასე? ოპტიკურ ილუზიასთან ხომ არ გვაქვს საქმე? უფრო სწორად, იმის თქმა მინდა რომ, ამ ორიდან ერთ-ერთი ოპტიკური ილუზიის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ რომელი, — საკითხავი, აი ეს არის! ვერც იმას დავიჟინებ, გინდა თუ არა, ბუმბული — მეთქი და ვერც თიხის კოშტზე დავდებ თავს. მე მხოლოდ ის შემიძლია, ორივე ავაგდო ჰაერში და მაშინ აშკარა შეიქნება, რომ ერთ-ერთი უდავო ილუზიაა, — სახელდობრ რომელი, მაგრამ თავად განსაჯოს!

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ვარსკვლავი მარადიული არ არის. ჩემი თვალით მინახავს, ზოგიერთი მათგანი, ყველაზე ლამაზი, როგორ ლღვებოდა და ციდან ძირს ეშვებოდა. თუ ზოგი ლღვება, დანარჩენებსაც იგივე უნდა დაემართოს; და თუ ასეა, ხომ შეიძლება ერთ ღამესაც ყველა ვარსკვლავი გაქრეს! ვიცი, ერთხელაც მოხდება ეს უბედურება! გადავწყვიტე, ღამ-ღამობით იქამდე ვიჯდე და დავტკბე მათი მზერით, ვიდრე ძილი არ მომერევა. მინდა გონებაში აღვბეჭდო მთელი ეს მოციმციმე სივრცე, რადგან მერე, როდესაც ვარსკვლავები გაქრებიან, წარმოსახვით შეეძლო ამ მოკიაფე სხეულების ჩაბნელებულ საზე დაბრუნება, რათა იქ იციმციმონ და იციმციმონ და ერთიორად გამრავლდნენ ჩემს თვალზე მომდგარი ცრემლების წყალობით.

შეცოდების შემდეგ:

წარსულს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, ნეტავ ის ჩვენი ბაღი ხომ არ დამესიზმრა მეთქი: ის თვალწარმტაცი იყო, გულისწასვლამდე ლამაზი,

ახლა კი ჩვენთვის დაკარგულია და ვეღარასდროს ვიხილავ.

მართალია, ის ბაღი საუკუნოდ დაკარგულია, მაგრამ მე მამაკაცი ვიპოვე და ბედნიერი ვარ. მას ვუყვარვარ, რამდენადაც ძალუძს სიყვარული, მე კი მგზნებარედ, მთელი ჩემი არსებით მიყვარს; ეს, მგონი, ბუნებრივია, თუ ჩემს ასაკსა და სქესს გავითვალისწინებთ. როდესაც საკუთარ თავს ვეკითხები, რატომ მიყვარს, მაინცდამაინც არც ველტვი ამას. ვფიქრობ, მსგავს გრძნობას არაფერი აქვს საერთო მსჯელობასა და სტატისტიკასთან: ეს ყველაფერი სხვა ქვეწარმავლებსა და ცხოველების სიყვარულისას გამოგვადგება. ჰო, ასე უნდა იყოს. ზოგი ჩიტი იმიტომ მიყვარს, რომ ტკბილად გალობს, ადამი კი სულაც არ მიყვარს, მით ნაკლებად მომწონს მისი სიმღერები და მაინც სულ იმას ვთხოვ, აბა ერთი შემოსძახე მეთქი, რადგან მინდა რომ შევიყვარო ყველაფერი, რაც მას მოსწონს და დარწმუნებული ვარ, შევიყვარებ კიდეც.

პირველად ხომ საერთოდ ვერ ვიტანდი მის სიმღერას, ახლა კი ვიტან! მისი ხმისგან რძეც კი მჟავდება, მაგრამ აჭრილ-ამჟავებულ რძესაც ეჩვევა თურმე ადამიანი.

არც მისი გონებრივი მონაცემები წყვეტს რამეს. რა მისი ბრალია, ასეთი რომ არის, — თვითონ ხომ არ შეუქმნია თავისი თავი! ზუსტად ისეთია, როგორიც ღმერთმა შემქნა და აქ საკამათო აღარაფერია.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ შემთხვევაში რაღაც ბრძნულ მიზანთან გვაქვს საქმე. თანდათანობით ალბათ გონება განუვითარდება, თუმცა, არამგონია, ეს ასე მალე მოხდეს. ძალიანაც კარგი, სად გვეჩქარება? ასეთსაც არა უჭირს!

გგონიათ იმიტომ მიყვარს, რომ ხათრიანი და გულისხმიერია? არა, ამ მხრივ, ცოტა არ იყოს მოიკოჭლებს, მაგარმ ასეთი ნაკლის მიუხედავად, მაინც კარგია და თანაც, მგონი, გამოსწორების გზაზე დგას.

ახლა მეტყვით, იმიტომ გიყვარს, რომ შრომისმოყვარეაო. კი ვხვდები, მშრომელი არსება რომ არის, მაგრამ ის კი ვეღარ გამიგია, ასეთ თვისებას რატომ მიმალავს. ეს არის ერთადერთი რამ, რაც სევდას მგვრის, თორემ სხვა დანარჩენში ნამდვილად გულახდილია.

დარწმუნებული ვარ, ამ თვისების გარდა არაფერს მიმალავს. მე ის მიკლავს გულს, ჩემგან დაფარული რომ აქვს რაღაც, — ამაზე დარდმა ძილიც კი გამიტეხა. საერთოდ უნდა ამოვიგდო თავიდან ეს აზრები, მათ გარდა ხომ არაფერი აყენებს ჩრდილს ჩემს ბედნიერებას!

ვერც იმას დამაბრალებთ, მისი განსწავლულობით ხარ მოხიბლულიო. თვითნასწავლი არსებაა და მართლაც ბევრი რამ იცის, მაგრამ გეფიცებით, მაგიტომ არ მიყვარს.

ვითომ მისმა რაინდულმა კეთილშობილებამ მომნუსხა? რას ბრძანებთ? ეგ არ იყო, რომ გამცა? ისე კი, რა მაგის ბრალია! მსგავსი რამ ხომ მის ჯიშს ახასიათებს და მას ხომ არ შეუქმნია ეგ ჯიში და მოდგმა? ცხადია, მე არასოდეს გავცემდი მას; უმალ სულს გავაფრთხობდი, მაგრამ ეს ხომ ჩემი სქესის თვისებაა და არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება ჩემს დამსახურებად: აკი მეც არ შემიქმნია ჩემი სქესი! მაშ, რატომ მიყვარს? — ალბათ იმიტომ რომ მამაკაცია.

გულის სიღრმეში კეთილია და ამიტომაც მიყვარს. თუმცა ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც მეყვარებოდა. ლანძღვა და ცემა რომ დამეწყოს,

მერწმუნეთ, მაშინაც მეყვარება. მგონი, ესეც ჩემი სქესის თვისებაა.

ის ღონიერია და წარმოსადეგი.

ამის გამო აღტაცებულიც ვარ და ვამაყობ კიდეც მისით. მაგრამ, ასეთიც რომ არ იყოს, მაინც მეყვარებოდა, — მეყვარებოდა შეუხედავი, უმწეო, ხეიბარი... თავდაუზოგავად ვემსახურებოდი, მისი ყურმოჭრილი მონა ვიქნებოდი, მისთვის ვილოცებდი და სასთუმალთან მის ძილს ვუდარაჯებდი.... უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

დიახ, ასეა! უბრალოდ, იმიტომ მიყვარს, რომ ჩემია და კიდევ იმიტომ, რომ მამაკაცი რომ არის. მგონი, სხვა მიზეზი არ უნდა მქონდეს. არ ვცდებოდი, როცა იმთავითვე დავიჟინე, ასეთ სიყვარულს არაფერი ესაქმება განსჯასთან და სტატისტიკასთან — მეთქი. არავინ იცის, საიდან მოდის ეს გრძნობა; მისი ახსნა ყოვლად შეუძლებელია... და არც არის საჭირო!

ეს ჩემი პირადი აზრია, მაგრამ მე ხომ მხოლოდ ქალი ვარ, თითქმის ბავშვი და თანაც პირველი ქალი, რომელიც ცდილობს გაერკვიოს ამ საკითხში და სავსებით შესაძლებელია, ჩემი მიამიტობის და უმეცრების წყალობით, მცდარი დასკვნა გამომეტანა.

ორმოცი წლის შემდეგ:

ჩემი ერთადერთი ოცნება და მხურვალე ვედრებაა, რომ ორივემ ერთად დავტოვოთ ეს ქვეყანა. ეს ვედრება მარად იჟღერებს დედამიწაზე.

იგი ყველა მოსიყვარულე ცოლის გულში იცოცხლებს და მას ევას ლოცვა დაერქმევა.

მაგრამ, თუ ერთ-ერთ ჩვენგანს პირველს უწერია წასვლა, დაე, ეს მე ვიყო! ამისათვის ვლოცულობ. ის ძლიერია, მე კი — სუსტი; მე მას ისე არ ვჭირდები, როგორც მე — ის. სიცოცხლე მის გარეშე ჩემთვის სიცოცხლე აღარ იქნება. ეს ჩემი ლოცვა-ვედრებაც მარადიულად აღევლინება... აღევლინება იქამდე ვიდრე კაცობრიობას უწერია არსებობა. მე პირველი ცოლი ვარ და უკანასკნელ ცოლში განვმეორდები.

ადამის დღიური

(შენიშვნა: ამ დღიურის ნაწილი რამდენიმე წლის წინ ვთარგმნე და ჩემმა ერთმა მეგობარმა მისი არასრული ვარიანი რამდენიმე ცალადაც დაბეჭდა. ოღონდაც ეგ კია, არსად არ გამომიქვეყნებია. მას შემდეგ კიდევ გავშიფრე ადამისეული რამდენიმე იეროგლიფი და ვფიქრობ, ეს პიროვნება საინტერესო უნდა იყოს საზოგადოებისათვის. ამიტომაც გამართლებულად მიმაჩნია ჩემი ნაღვაწის გამოქვეყნება.)

მ. ტვენი.

ევას სამარესთან...

ადამი: *„სამოთხე იქ იყო, სადაც ევა მყავდა“.* ამონარიდი ადამის დღიურიდან.

ორშაბათი:

ამ გრძელთმიანმა არსებამ თავი მომაბეზრა. სულ ერთთავად თვალწინ მიტრიალებს და კვალდაკვალ დამდევს. მე ის სულაც არ მომწონს: არ ვარ ჩვეული ვინმესთან ურთიერთობას. ნეტავ კი შემეშვას და სხვა ცხოველებს მიაშუროს...

დღეს მოიღრუბლა, აღმოსავლეთის ქარმაც დაბერა: ალბათ გაწვიმდება... ჩვენ მგონი, თავსხმა გველის. ეს „ჩვენ“ საიდანღა მოვიტანე? ჰო, გამახსენდა, — იმ ახალი არსებისგან გამიგონია.

სამშაბათი:

დღეს ის ჩანჩქერი გამოვიკვლიე. მაგაზე უკეთესს ჩემს სამფლობელოში ვერაფერს ნახავთ. ახალი არსება მას რატომღაც „ნიაგარას ჩანჩქერს“ უწოდებს. ნეტავ რატომ? მიდი და გაიგე! ასე გამოიყურებაო, ამბობს. ჩემი აზრით, ეს სუსტი საბუთია. მე თუ მკითხავთ, ეს რაღაც სულელური გამონაგონი და ნამდვილი სიგიჟეა.

ამჟამად მე ვერაფრით ვახერხებ რაიმე საგნისა თუ მოვლენის სახელდებას. ახალი არსება იქამდე აკეთებს ამას, ვიდრე საკუთარი აზრის გამოთქმას მოვასწრებდე და საბუთიც სულ ერთი და იგივეა: „ასე გამოიყურება.“ აი თუნდაც „დოდო“ ავიღოთ: ახალ არსებას დაუჟინია, საკმარისია ერთხელ შეავლო თვალი და მაშინვე მიხვდები, რომ ეს პირწავარდნილი დოდოაო. ასე იყოს, თავს ზემოთ ძალა არ არის! სად შემიძლია მასთან ბრძოლა და გინდაც შემეძლოს, რა აზრი აქვს? დოდო! როგორ არა ! ის ისევე ჰგავს დოდოს, როგორც, მაგალითად, მე!

ოთხშაბათი:

ჩემთვის სადგომი ავიშენე: ვიფიქრე, ასე წვიმას მაინც შევაფარებ თავს-მეთქი. ვინ დამაცადა რამე! ის მარტო ერთი წუთითაც კი არ დავმჯდარვარ. ახალი არსება დაუპატიჟებლად შემომეჭრა, და როცა მის გაგდებას შევეცადე, იმ ღრმულებიდან თუ ფოსოებიდან, აქეთ-იქით საყურებლად რომ აქვს ბოძებული, წყლის წვეთები გადმოშხეფა, მერე კი ღრმულების შემშრალებას მოჰყვა თათის ზურგით და თან ფათერაკს გადაყრილი ნადირივით აზმუვლდა. იზმუვლოს, რა მენაღვლება; ოღონდაც კი ნუ ილაპარაკებს და...

მაინც რა არის, რატომ ვერ აჩერებს ენას? შეიძლება, ჩემი ნათქვამი დამცინავად და სარკასტულად ჟღერდეს, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია იმ საცოდავის გაქირდვა.

რა ჩემი ბრალია, ადამიანის ხმა ჯერ რომ არ გამიგონია და ნებისმიერ უცხო ბგერა, რომელიც ამ ნეტარ მდუმარებას და მყუდროებას არღვევს, აშკარად შეურაცხყოფს ჩემს სმენას. — ზუსტად ისე, როგროც ყალბი ნოტი! თანაც ეს უჩვეულო ხმა ძალიან ახლოდან მესმის: ხან ერთი და ხანაც მეორე მხრიდან ჟღერს ჩემს ზურგს უკან, ზედ ყურთან... მე კი მხოლოდ ისეთ ხმაურს ვარ მიჩვეული, შორიდან რომ აღწევს.

პარასკევი:

მთელი ჩემი ძალისხმევის მიუხედავად, სახელწოდებები კვლავ დაუდევრად იბადება.

ჩემს სამფლობელოსათვის მშვენიერი სახელი მქონდა შერჩეული, ერთობ კეთილხმოვანი და სმენის დამატკბობელი: „სამოთხის ბაღი“. გულში მას ახლაც ასე მოვიხსენიებ, მაგრამ სახალხოდ — აღარ. ახალი არსება გაიძახის აქ უამრავი ხე, კლდე და ლამაზი სანახებია და ამიტომაც სულად არ ჰგავს ეს ბაღს, პარკი უნდა იყოს და მხოლოდ პარკიო! და ისე, რომ ჩემი აზრით არც დაინტერესებულა, ჩემს საკუთარ ბარს სახელი გადაარქვა: „ნიაგარას ჩანჩქერის პარკს“ ეძახის. ეს ერთი მაგალითიც კმარა, იმის წარმოსაჩენად, თუ რა თავნება არსებაა და რამდენის უფლებას აძლევს საკუთარ თავს.

მაგას კიდევ არაუშავს... ახლა წარწერაც გაჩნდა: „ბალახის გადათელვა აკრძალულია!“ ვერა ვარ ძველებურად ბედნიერი!

შაბათი:

ახალი არსება ძალიან ბევრ ხილს ნთქავს! ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ ალბათ მალე შიმშილი მოგვიწევს. ოჰ, კიდევ „ჩვენ“! ახლა ეს სიტყვა ჩემიც არის და ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან სულ ერთთავად ყურში ჩამესმის. დღეს დილიდან ნისლიანი ამინდია. პირადად მე ასეთ ამინდში გარეთ არ გავდივარ, ახალი არსება კი საწინააღმდეგოს სჩადის. ნებისმიერ ამინდში ფეთიანივით შემორბის ჩემს სადგომში... და ლაპარაკს იწყებს. ეჰ, რა მშვიდად ვცხოვრობდი ოდესღაც!

კვირა:

როგორღაც გავიყვანე დრო, კვირა სულ უფრო და უფრო მძიმე დღედ მეჩვენება.

გასულ ნოემბერს ეს დღე უქმედ დაწესდა, ადრე კი ასეთი ექვსი უქმე დღე მქონდა. ამ დილას იმის მომსწრეც შევიქენი, თუ როგორ ცდილობდა ახალი არსება იმ აკრძალული ხიდან ნაყოფის ჩამოგდებას!

ორშაბათი:

ახალ არსებას დაუჟინია, ევა მქვიაო. ერქვას მერე, რა მენაღვლება! ასე დამიძახე, როცა გინდა, შენთან რომ მოვიდეო! მე კი ვუთხარი, რა საჭიროა, ეს უკვე რაღაც ექსცენტრიულობაა — მეთქი. ამ უკანასკნელმა სიტყვამ აშკარად ამამაღლა მის თვალში. ისე, მართლაც საკმაოდ გრძელი და გვარიანი სიტყვაა; მიჯობს ხშირად გავიმეორო. ევა ვარო, რომ ამბობს, იყოს, რა ვქნა ეხლა... ოღონდ იყუჩოს და თავი დამანებოს!

საშშაბათი:

ევამ მთელი პარკი მიმართულების მაჩვენებლებითა და შეურაცხმყოფელი წარწერებით დაამახინჯა: „გზა ჩანჩქერებისაკენ“, „თხების კუნძული“, „ქარების მღვიმე“.

იმასაც ამბობს, ამ პარკში მარტო კურორტის გაშენება შეიძლება, თუ დამსვენებელი მოეძალა და შესაფერისი საზოგადოებაც შეიკრიბაო. კურორტი! რამ მოაფიქრა! რა უგვანი და ყოვლად უაზრო სიტყვაა! მინდა ვკითხო, რა არის კურორტი მეთქი, მაგრამ თავს ვიკავებ; ისედაც შეპყრობილია ახსნა-განმარტებების მანიით.

პარასკევი:

ახლა კიდევ სხვა რაღაცით მიწყალებს გულს: მეხვეწება, ტბა არ გადაცუროო. ნეტავ გამაგებინა, ვის რას ვუშლი! ამას რომ აკეთებ, სულ ჟრუანტელი მივლისო. ხომ არ იცით, რატომ? მუდამ სიამოვნებით გადავეშვები ხოლმე წყალში, ამ დროს საამო მღელვარება მეუფლება და მაცოცხლებელ სიგრილესაც ვგრძნობ. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ შეიქმნა წყალი. სხვა რაში უნდა გამოიყენო? არაფერში! ამიტომ უნდა იყოს ჩაფიქრებული...მორჩა და გათავდა! ის კი მეუბნება, პეიზაჟის გასახალისებლად არის შექმნილი, მარტორქებისა და მასტოდონების მსგავსადო.

მეც ავდექი და ტბა კასრით გადავცურე. მაინც უკმაყოფილო იყო.

მაშინ ბადია გამოვიყენე, მაგრამ მისი გული ვერა და ვერ მოვიგე. ერთხელაც მორევი და ჩქერობი ლეღვის ფურცლის საცურაო კოსტიუმში გამოწყობილმა გადავლახე. სამოსელი საგრძნობლად შემელახა და

ერთობ მოსაწყენი ნოტაციის მოსმენაც მომიხდა: ძირითადად ბედოვლათობაში დამდო ბრალი და სულ გამნიავებელი მიძახა. ასეთ ზედმეტ მზრუნველობას ვეღარ ვუძლებ. გული მიგრძნობს, ადგილის გამოცვლა მომიწევს.

შაბათი:

სამშაბათს გამოვეპარე, ღამით...მთელი ორი დღე ვიარე და ბოლოს ერთ უკაცრიელ ადგილას ახალი სადგომიც წამოვჭიმე. ყველაფერი ვიღონე, კვალი რომ წამეშალა, მაგრამ მაინც მომაგნო იმ თავისი მოშინაურებული ცხოველის დახმარებით, რომელსაც „მგელს“ ეძახის.

მობრძანდა და ისევ აზმუვლდა და აწკმუტუნდა, თანაც კიდევ გადმოუშვა წყლის ჭავლი გარემოს დასაზვერი ფოსიებიდან. იმდენი ქნა, რომ იქიდან წამომიყვანა, მაგრამ, როგორ კი დროს ვიხელთებ, კვლავ გავექცევი. სულ რაღაც წარმოუდგენელი სისულელითაა დაკავებული. აი, ახლა იმის დადგენას ელტვის, თუ რატომ იკვებებიან ბალახ-ბულახითა და ყვავილებით ლომებად და ვეფხვებად წოდებული ნადირები, მაშინ როდესაც, აშკარად იმ მიზეზით არიან შექმნილები, ერთმანეთი რომ შეთქვლიფონ. თუ არ გჯერა, მაგათ კბილებს შეხედეო... ფრიად სულელური მსჯელობაა. ერთმანეთის დაჭმა ხომ ერთმანეთის მოკვლას გულისხმობს, ანუ ისეთი რაღაცის მოპატიჟებას, რასაც „სიკვდილი“ ჰქვია, ამ უკანასკნელს კი, რამდენადაც ვიცი, ჩვენს პარკში ჯერ არ შემოუღწევია.

ისე, სიტყვაზე, რა უშავდა, რომ შემოეღწია... კვირა როგორღაც გავიყვანე დრო. ორშაბათი მგონი მივხვდი, რატომ არსებობს ის ექვსი დღე: იმიტომ, მოსაწყენი კვირა დღისგან რომ დავისვენოთ! ვფიქრობ, სავსებით გონივრული გადაწყვეტილებაა... ის კვლავ იმ ხეზე აძვრა. მიწის კოშტები

დავუშინე და ვაიძულე ჩამოსულიყო. უტიფრად განმიცხადა არავის დავუნახივარო. ეტყობა, მისთვის ეს კარგი არგუმენტია, რათა თამამად წავიდეს რისკზე. ასეც ვუთხარი.

უნდა გენახათ, რა აღტაცებაში მოიყვანა ჩემ მიერ წარმოთქმულმა „არგუმენტმა!“ მგონი, შეშურდა კიდეც ჩემი. მაშ ასე, კარგი რამ მითქვამს.

ხუთშაბათი:

მან განაცხადა, რომ ჩემი ნეკნიდან არის შექმნილი. ეს, მეტი თუ არა, საეჭვო მაინც უნდა იყოს. რა ვიცი, ყველა ნეკნი ადგილზე მაქვს და... ახლა კაკაჩაზე ნერვიულობს, ბალახს ვერ ჭამს, საერთოდ ვერ ინელებს, მიჭირს მისი განკურნება, ეს ალბათ ლეშით უნდა იკვებებოდეს. აი, დარდი! კეთილი ინებოს იმ კაკაჩამ და იმით გავიდეს იოლად, რაც მოგვეპოვება. ახლა მაგის გულისათვის ქვეყანას ხომ ვერ გადავაბრუნებთ!

შაბათი:

გუშინ ტბაში ჩავარდა.

ჩვეულებისამებრ წყალს ჩაშტერებოდა და ჩავარდა კიდეც, კინაღამ არ გაიგუდა და გამოტყდა, ძალიან ცუდი შეგრძნებააო. ამან თანალმობა გაუღვიძა ტბაში მობინადრე იმ არსებათა მიმართ, თევზებს რომ ეძახის. ის ხომ კვლავ უგონებს რაღაც სახელებს სხვადასხვა ქმნილებებს, თუმცა, ამათ ეს არაფერში სჭირდებათ და არც დაძახებაზე რეაგირებენ. იმას მათი გულგრილობა სულაც არ ადარდებს...ერთი სიტყვით, ტუტრუცანაა და მეტი არაფერი. გუშინ უამრავი ეგრეთ წოდებული „თევზი“ დაიჭირა, სახლში მოათრია და ჩემს ქვეშაგებზე დაყარა, იქნებ ცოტა გათბნენო. მე დროდადრო თვალს ვადევნებდი იმ არსებებს და რაღაც ვერ შევატყვე

დიდი აღფრთოვანება; ერთი ეგ იყო, საეჭვოდ გაიტრუნენ. ღამე მაგათ ყველას აქედან მოვისვრი.

მტერმა დაიძინა მაგათთან ერთად, ასეთი ცივი და სლიპინა არაფერი მინახავს. მათ შორის წოლა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტანზე არაფერი გაცვია.

კვირა:

როგორღაც გავიყვანე დრო.

საშაბათი:

ახლა კიდევ გველს დაუმეგობრდა! ყველა დანარჩენი ცხოველი გახარებული, როგორ აქამდე მათზე ათასნაირ ცდებს ატარებდა და გულს უწვრილებდა. მეც შვებით ამოვისუნთქე: გველს ლაპარაკი შეუძლია და ახლა ალბათ ცოტა მოვითქვამ სულს.

პარასკევი:

ის მეუბნება, გველი აკრძალული ხის ვაშლის დაგემოვნებას მირჩევს, თურმე ამის შედეგად რაღაც დიადს, ამაღლებულსა და მშვენიერს შევიცნობო. გავაფრთხილე, ეგ საქმე მარტო მაგით არ შემოიფარგლება, მეშინია, დედამიწაზე სიკვდილი არ გაჩნდეს მეთქი. გავაფრთხილე და მწარედაც ვინანე, არ მეკადრებოდა ასეთი აჩქარება, — ახალი იდეა დაებადა: ასე უფრო იოლად განვკურნავ ჩემს კაკაჩას და მისავათებულ ლომ-ვეფხვსაც ახალი ხორცით გავანებივრებო. მე ვურჩიე, ახლოსაც არ გაკარებოდა იმ ხეს. კიდევ რა გინდაო, მითხრა! გული ავად შემომკვნესის, მიჯობს, დროზე გავიქცე აქედან!

ოთხშაბათი:

ბევრი რამ გადავიტანე.

იმ ღამესვე გავიქეცი, — ცხენს მოვახტი და გათენებამდე შეუსვენებლად მივაჭენებდი. ერთი სული მქონდა, პარკიდან გამეღწია და იქამდე მეპოვა თავშესაფარი სხვა ქვეყანაში, ვიდრე უბედურება დატრიალდებოდა, მაგრამ... მზის ამოსვლიდან ასე დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, როცა ცხენს აყვავებულ მდელოზე მივაგელვებდი, სადაც, ჩვეულებისამებრ, ზოგი ცხოველი მშვიდად ბალახობდა, ამაზრზენი რამ მოხდა. მოულოდნელად, არც აცივეს, არც აცხელეს და საშინელი ღრიალი და ყმუილი წამოიწყეს: დიდი არეულობის მომსწრე შევიქენი; ცხოველები ერთმანეთის შეთქვლეფას ლამობდნენ. მივხვდი, რაც მოხდა. ევამ აკრძალული ხილი იგემა და დედამიწას სიკვდილი ეწვია! ვეფხვებმა ცხენი შემისანსლეს, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად ვუბრძანე, შეეწყვიტათ ეს უმსგავსოება. ეგ კი არადა, მეც მიმაყოლებდნენ, უკანმოუხედავად რომ არ მომეკურცხლა... პარკის გარეთ ერთ მყუდრო ადგილს შევეფარე და რამდენიმე დღე არამიშავდა რა, ვიყავი ჩემთვის.

მაგრამ, რად გინდა! იქაც მომაგნო და იმ ადგილსაც სასწრაფოს გამოუნახა დასახელება:

„ტონაუანდა“. ასე გამოიყურებაო და იმიტომო! სიმართლე გითხრათ, მის დანახვას არ დავუმწუხრებივარ, რადგან იქ საჭმელი ბევრი არაფერი იყო, იმან კი რამდენიმე ვაშლი მომიტანა. ისე მშიოდა, თავპატიჟი აღარ გამიდია. ასეთი რამ ჩემთვის ადრე მიუღებელი იყო, მაგრამ მაშინ დავრწმუნდი, რომ ნებისმიერი პრინციპი ძალას იქამდე ინარჩუნებს, ვიდრე მაძღარი ხარ... ის ტოტებისა და ფოთლების საფარველით შემობურული

გამომეცხადა. როდესაც ვკითხე, ეს რაღა სისულელე მოგიფიქრებია მეთქი, და ის ფოთლები სულ აქეთ-იქით მოვფანტე, უშნოდ ჩაიხითხითა და ერთიანად აილანძა. იმ წუთამდე არც ხითხითი მომისმენია და არც გაწითლების მოწმე შევქმნილვარ, ამიტომ მისი მოქმედება საშინელ უხამსობად აღვიქვი.

იმან კი მითხრა, მალე შენც ყველაფერს შეიტყობო და როდი შემცდარა! მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მშიოდა, ნახევრად შეჭმული ვაშლი ბალახზე დავდე (სხვათა შორის, ასეთი ნუგბარი რამ ჯერ არ მეგება; თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ვაშლის სეზონი კარგა ხნის მიწურული იყო.), მიწაზე მიყრილ-მოყრილი ფოთლები და ტოტები ავაგროვე და სასწრაფოდ მოვიკაზმე, მერე კი მას ვუბრძანე, თავისთვისაც მოეტანა ფოთლები და ასე უტიფრად გაშიშვლებული აღარ დამნახვებოდა. უსიტყვოდ დამმორჩილდა. ამის შემდეგ იმ ველზე გავედით, სადაც ცხოველები ერთმანეთს დაერივნენ, რამდენიმე ტყავი დავითრიეთ და მანაც, ჩემი მორიგი ბრძანების თანახმად, ისეთი სამოსი შექმნა, რომლითაც თამამად გამოვჩნდებოდით საზოგადოებაში. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მსგავსი საფარველი არც ისე მოსახერხებელია, მაგრამ ლაზათი და პენი აკლია და ნებისმიერი სამოსის დანიშნულებაც ხომ ეს გახლავთ! გაგიკვირდებათ და მასთან ყოფნა სასიამოვნოც კია! ახლა, როცა ჩემი ადგილ—მამული დავკარგე, გვერდით თუ არ მყავს, სევდა მეუფლება. ჰო, მართლა: ის ამბობს, ნაბრძანები გვაქვს, ამიერიდან საკუთარი ოფლით მოვიპოვოთ პური არსობისაო. მგონი, ამ საქმეში მისი გამოყენება შეიძლება (ცხადია, ხელმძღვანელი მე ვიქნები).

ათი წლის შემდეგ:

ყველაფერს მე მაბრალებს; გაიძახის, შენა ხარ დამნაშავე მთელ ამ

უბედურებაშიო.

თანაც გამწარებით მარწმუნებს, გველმა მითხრა, რომ აკრძალული ნაყოფი ვალი კი არა, წაბლიაო. მეც ვუთხარი, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩემს უდანაშაულობას, ვინაიდან წაბლისათვის ჩემს დღეში არ გამიკრავს კბილი მეთქი. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, გველს მისთვის აუხსნია, ამ შემთხვევაში ქარაგმასთან გვაქვს საქმე და „წაბლში“ ძირითადად, მოძველებული, ფუყე და უმარილო ხუმრობა იგულისხმებაო. ამის გაგონებაზე ფერი-ფური წამივიდა: აკი ზოგჯერ, დროის მოსაკლავად თავს ხუმრობის უფლებას ვაძლევდი კიდეც, თუმცა, ჩემი მიამიტობის წყალობით, ყველა ხუმრობას ერთობ მოსწრებულად ვთვლიდი. მერე მკითხა, ვიდრე ეს უბედურება დაგვატყდებოდა თავს, შემთხვევით მახვილსიტყვაობაში ხომ არ წაგივარჯიშიაო. იძულებული შევიქენი მეღიარებინა, რომ მართლაც დავიდე ასეთი ცოდვა, თუმცა ხმამაღლა არაფერი მითქვამს, ჩემთვის, გულში გავივლე რაღაც. აი, როგორ მოხდა ეს: ერთხელ ჩანჩქერზე გავიფიქრე, რა საოცარი სანახაობაა ეს ზემოდან დაშვებული წყალი მეთქი და იქვე მოსწრებული ხუმრობაც გამოვაცხვე: „აი, სეირი იქნებოდა, ეს წყალი ქვემოდან ზემოთ რომ დაშვებულიყო!:: ჩემსავე სიტყვებზე ისე გულიანად ავხარხარდი, შემეშინდა, სიცილით არ გავსკდე — მეთქი... და უცებ ბუნება გადაირია, ხეობაში მტრობა და სიკვდილი გაჩნდა და მეც უკანმოუხედავად გავიქეცი, რათ სიცოცხლე შემენარჩუნებინა.

„აი, ხომ ხედავ!“ მითხრა მან ნიშნის მოგებით, „მაგაშია საქმე! სწორედ ასეთ ხუმრობას გულისხმობდა გველი, როცა წაბლი ახსენა, რადგან მსგავსი ყავლგასული რამ სამყაროს შექმნიდან მოყოლებული დღემდე გესმის!“ როგორც ირკვევა, ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა. ნეტავ

საერთოდ არ დავბადებულიყავი ასე ენამოსწრებული! რა მოხდებოდა, საერთოდ არ მომსვლოდა თავში ის ხუმრობა!

მომდევნო წელს:

ჩვენ მას კაენი დავარქვით. ევამ ის იმ დროს მოიყვანა, როცა საქმეზე ვიყავი წასული, — ერის ტბის ნაპირზე ხაფანგებს ვაგებდი. სადღაც ტყეში დაუჭერია, ჩვენი სადგომიდან ორიოდე მილის დაშორებით... თუმცა, შეიძლება სულაც ოთხი მილის იქით, თვითონაც ვერ მიხსნის რიგიანად! ეს არსება რაღაცით ჩვენ ჩამოგვგავს, — არ არის გამორიცხული, ჩვენს მოდგმას რომ მიეკუთვნებოდეს.

ყოველ შემთხვევაში, ევა ასე ფიქრობს, მაგრამ, მგონი ცდება. ზომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის რაღაც ახალი არსებაა, სრულიად განსხვავებული ჯიშის.

ვიფიქრე, თევზი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ ტბაში რომ გადავუძახე, ფსკერისაკენ წავიდა, ევა კი მაშინვე წყალში გადაეშვა და ნაპირზე ამოათრია, რითაც აშკარად შემიშალა ხელი ექსპერიმენტის დაგვი-რგვინებასა და ჭეშმარიტების დადგენაში. მაინც მგონია, რომ თევზთა მოდგმისაა, მაგრამ რატომღაც არ აინტერესებს მისი წარმოშობა და არც მე მაძლევს ამის გარკვევის უფლებას. ამ ევასი ვერაფერი გამიგია! მას შემდეგ, რაც ეს ახალი არსება მოგვევლინა, სულ შეიცვალა, რაიმე ექსპერიმენტის გაგონებაც კი არ უნდა. ჯერ არც ერთ ცხოველზე არ გადარეულა ისე, როგორც ამ ქმნილებაზე და თანაც ვერაფრით აუხსნია თავისი საქციელი, აშკარად ვეღარ არის ჭკუაზე, — აკი მთელი მისი ქცევა ამაზე მეტყველება! ზოგჯერ ღამით დიდხანს დაატარებს ხელით ამ თევზს, როცა ის საშინლად ჭყავის — ალბათ წყლისკენ მიიწევს. ის კი სამზერი

ღრმულებიდან წყალს აფრქვევს, თევზს ზურგზე უტყაპუნებს ხელს და რაღაც ნაზ ბგერებს გამოსცემს. ვფიქრობ, ამ გზით ცდილობს მის დაწყნარებას. საერთოდ, დიდ მზრუნველობასა და თანაგრძნობას იჩენს მის მიმართ.

ჯერ არც ერთ თევზს არ მოპყრობია ასე და ეს უკვე ძალიან მაშფოთებს. მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენს სამფლობელოში ვცხოვრობდით, გულზე იხუტებდა ვეფხვის ბოკვრებს და მშვენივრადაც ერთობოდა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაში იყო და სხვა არაფერი. თანაც სულაც არ განიცდიდა ასე მწარედ, თუ რომელიმე ბოკვერს საკვები აწყენდა.

კვირა:

ახლა კვირაობით უკვე აღარ საქმიანობს. დაღლილ-დაქანცული გულაღმა გადაწოლილა და ის თევზით მის სხეულზე სულ მალაყებს გადადის, რაც მას უდავოდ დიდ სიამოვნებას ანიჭებს. პირიდან რაღაც უაზრო ბგერებს გამოსცემს თევზის გასახალისებლად, მერე ვითომ ცდილობს კიდურებზე უკბინოს...თევზი კი იცინის და იცინის. ცხოვრებაში არ მინახავს გაცინებული თევზი! სწორედ რომ საგონებელში ვარ ჩავარდნილი. ახლა მეც შემიყვარდა კვირა: როცა მთელ ექვს დღეს ბრძანებებს იძლევი, არაქათი გეცლება კაცს.

როგორმე უნდა გაიზარდოს კვირა დღეების რაოდენობა. ადრე კვირას ვერ ვიტანდი, ახლა კი სწორედ სულზე მომისწრებს ხოლმე!

ოთხშაბათი:

არა, ეს თევზი არ უნდა იყოს. ვერა და ვერ დავადგინე, რა სულდგმულია. როდესაც რამით უკმაყოფილოა, ისე საშინლად ჭყავის, რომ ჟრუანტელი მივლის, ხოლო თუ გახარებულია, სულ „აღუ-აღუს“ იძახის. ჩვენი ჯიშის ნამდვილად არ არის, რადგან სიარულზე უკაცრავად ბრძანდება; მაგრამ ჩიტიც რომ არ არის?! საერთოდ არ შეუძლია ფრენა; არც ბაყაყია, — ვერ დახტის; არც გველი, — არ დასრიალებს. ახლა უკვე თითქმის დარწმუნებული ვარ, თევზი რომ არ არის. თუმცა, ჯერაც ვერ მოვახერხე იმის დადგენა, შეუძლია თუ არა ცურვა.

ის სულ ერთთავად წევს, — უმეტესად ზურგზე, ფეხები კი ზევით აუშვერია. ჯერ არ მინახავს, რომელიმე ცხოველი ასე იქცეოდეს. ევას ვუთხარი, ეს რაღაც ენიგმაა-მეთქი. ამ სიტყვამ აღაფრთოვანა, მაგრამ მის მნიშვნელობას კი ვერ ჩასწვდა. მგონი, ეს არსება ან მართლაც ენიგმატური მოვლენაა, ანდა სულაც რაღაც ხოჭოსებრთა ოჯახის წევრი. თუ მოკვდა, აუცილებლად გავკვეთ, რათა წარმოდგენა შევიქმნა მის აგებულებაზე. ასეთ ჩიხში არასოდეს ვყოფილვარ მომწყვდეული!

სამი თვის შემდეგ საბოლოოდ ამებნა თავგზა.

რაც დრო გადის, ყველაფერი უარესობისაკენ მიექანება. ძილი გამიტყდა. ის არსება ახლა ზურგზე კი აღარა წევს, არამედ ოთხით დაბობღავს, მაგრამ სხვა ოთხ ფეხზე მოარული ცხოველებისგან მკვეთრად განსხვავდება, ვინაიდან წინა კიდურები ძალიან მოკლე აქვს და შესაბამისად, ტანიც რაღაც უცნაურად დააქვს, რაც ფრიად დამთრგუნველი შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნაგობით ჩვენა გვგავს, თუმცა, მისი გადაადგილების მანერა გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ჯიშის მაინც

არ არის. თუ მისი გრძელი უკანა და მოკლე წინა თათების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი უფრო კენგურუსებრთა ოჯახს უნდა მიეკუთვნებოდეს, მაგრამ ისიც არის მხედველობაში მისღები, რომ ეს კენგურუს რაღაც განსაკუთრებული სახეობაა, რადგან საერთოდ ვერ დახტის! ერთი სიტყვით, ის მეტად საინტერესო, ჯერ კიდევ აღურიცხველი სახეობაა. ვინაიდან ეს სახეობა მე გამოვიკვლიე, სულაც არ მრცხვენია, თავი მის პირველა-ღმომჩენად გამოვაცხადო და ჩემსავე პატივსაცემად მას ადამისნაირთა კლასის კენგურუ ვუწოდო. როგორც ჩანს, იგი ჩვენთან ადრეულ ასაკში მოხვდა, რადგან მას შემდეგ წარმოუდგენლად გაიზარდა.

ახლა ის ხუთჯერ უფრო დიდია და თუ რამე არ დაუჯდა ჭკუაში, გასულ პერიოდთან შედარებით, გაცილებით ხმამაღლა გამოხატავს პროტესტს. ფიზიკური შეგონება კი არ ათვინიერებს, არამედ სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. იძულებული შევიქენი, უარი მეთქვა აღზრდის ასეთ მეთოდზე. ევა მას სიტყვიერი შეგონებით არჯულებს, ანდა ისეთ საგნებს აძლევს, რომლებსაც ადრე ახლოსაც არ აკარებდა. ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ სახლში არ ვიყავი, როცა ეს არსება მოგვევლინა და ევამ მაშინვე მითხრა, ტყეში ვიპოვეო. მართალია, ეჭვი მეპარება, რიმ ის ერთადერთი სახეობაა დედამიწის ზურგზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეა! ძალიან დავიტანჯე — რამდენიმე კვირის განმავლობაში ვცდილობდი მეპოვა თუნდაც ერთი მისი მსგავსი არსება, რათა ჩემი კოლექციაც შემევსო და მისთვის მეშოვა ამხანაგი (მაშინ ხომ იმასთან ითამაშებდა, ცოტა დაშოშმინდებოდა და ჩვენც უფრო იოლად მოვათვინიერებდით), მაგრამ ისეთსაც კი ვერავის მივაგენი, რაღაც მაინც რომ ჰქონოდა მასთან საერთო და თანაც, რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, ასეთი არსების ნაკვალევიც არსად ჩანდა! სურს თუ არა, ხომ უნდა იაროს დედამიწაზე, და როგორ ხდება, კვალს რომ არ ტოვებს? რატომ თორმეტი ხაფანგი არ დავუგე,

მაგრამ ამაოდ! მის გარდა ყველა სახეობის მხეცები გაებნენ ხაფანგში, ვფიქრობ, ისინი მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ დაღუპა, — ერთი სული ჰქონდათ შეეტყოთ, რატომ იყო იქ რძე, თუმცა, მას ახლოსაც კი არ გაჰკარებიან!

სამი თვის შემდეგ:

ჩვენი კენგურუ ჯერ კიდევ ზრდის პროცესშია. ეს ფაქტი საკმაოდ უცნაურიც გახლავთ და შემაშფოთებელიც.

ცხოვრებაში არ შემხვედრია ცხოველი, რომლის გაზრდასაც ამდენი ხანი დასჭირვებოდეს! ახლა კიდევ, თავი რაღაც ღინღლით დაეფარა, ისეთით, არაფერი რომ აქვს საერთო კენგურუს ბეწვთან, ეს საფარველი უფრო ჩვენს თმას მაგონებს, მაგრამ გაცილებით რბილია და თანაც შავი კი არა, წითური. მალე ალბათ ჭკუიდან გადამიყვანს ამ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ბიოლოგიური სიმახინჯის არნახული ახირებანი. ეჰ, ნეტავ, ერთი ასეთი მახინჯი კიდევ დამაჭერინა! მაგრამ ვინ მომცა მაგის ბედი! ეს რაღაც ახალი ზოოლოგიური სახე-სხვაობის ერთადერთი წარმომა-დგენელია.

ამაში უკვე ეჭვის აღარ მეპარება. ჰოდა, მეც ავდექი და ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კენგურუ მოვუყვანე. ვიფიქრე, ცოტას გაიხარებს, ის ხომ დანატრებულია თავის მსგავსთა, და საერთოდ, თანატოლთა საზოგადოებას, საწყალს არავინ ჰყავს გვერდით, ვინც მის აუტანელ მარტოობას გაიზიარებს, აბა როდემდე უნდა გაგვიძლოს ჩვენ, — მისთვის ყოვლად უცხო არსებებს, რომლებსაც არც მისი ზნე-ჩვეულებებისა გაგვეგება რამე და ვერც ის აგვიხსნია, რომ მისი მტრები კი არა, მეგობრები ვართ-მეთქი. ვერაფერს გავხდი: კენგურუს დანახვამ ისე შეაშინა, ლამის

გულზე შემოეყარა და მეც მაშინვე მივხვდი, რომ კენგურუ არასოდეს ენახა.

ძალიან მეცოდება ეს პაწია მკივანი მხეცუცა, მაგრამ ვერაფრით გავახარე და რა ჩემი ბრალია! ნეტავ რამენაირად მომეშინაურებინა, თუმცა, მიჯობს ამაზე ფიქრს თავი დავანებო: რაც უფრო მეტად ვცდილობ, მით უარეს შედეგს ვაღწევ. გული მტკივა, როცა ვხედავ როგორ შმაგდება ეს უბადრუკი ცხოველი, თუ რამემ გააბრაზა... სიხარულით მივანიჭებდი თავისუფლებას, მაგრამ ევას ამის გაგონებაც კი არ სურს. მისი მხრიდან ეს დიდი სისასტიკეა, რაშიც ადრე არ ყოფილა შემჩნეული... თუმცა, რა ვიცი, იქნებ მის საქციელსაც აქვს გამართლება! მაშინ ალბათ ეს არსება უფრო მარტოსული იქნება, სადაც მე ვერ მოვაბი თავი მისი მსგავსის აღმოჩენას, ეს რაღას გახდება!

ხუთი თვის შემდეგ:

არა, ის კენგურუ არ არის ! ევას თითს მოჭიდებული, უკანა ფეხებით რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას ახერხებს, მერე კი მიწაზე ენარცხება. ნეტავ, სულაც დათვის რომელიმე სახეობასთან ხომ არ გვაქვს საქმე. მაგრამ მაშინ კუდი სადღაა? ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით მსგავსი არაფერი მოეპოვება! არც ბალანი აქვს... თუ თავის საფარველს არ მივიღებთ მხედველობაში. თანაც კვლავ ზრდის პროცესშია.

მსგავსი არაფერი მინახავს! დათვები ხომ გაცილებით სწრაფად აღწევენ სათანადო ზომას! ახლა დათვი საშიში ცხოველია (იმ უბედურებამდე ასე როდი იყო!) და სულაც არ მინდა აქეთ-იქით დაეხეტებოდეს სადრუნჩეს გარეშე. ევას ვუთხარი, ოღონდ კი ეგ დათვის ბელი თავის გზაზე გაუშვი და ერთი კენგურუ ჩემზე იყოს მეთქი, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ვხედავ, უნდა რომ სულ შიშის ქვეშ

ვიცხოვროთ და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნათ. ადრე სულ სხვანაირი იყო, — ადრე იქამდე, ვიდრე სრულ ჭკუაზე გახლდათ!

ორი კვირის შემდეგ:

იმ არსების ხახა გამოვიკვლი. ჯერჯერობით არაფერია საგანგაშო: ერთი კბილის მეტი ვერ ვუნახე, კუდიც რაღაც არ ჩანს, მაგრამ ახლა გაცილებით მეტს ჭყივის, განსაკუთრებით ღამღამობით. სადგომი მივატოვე და ცის ქვეშ ვცხოვრობ. სახლში მხოლოდ დილაობით თუ შევივლი, რათა ვისაუზმო და შევამოწმო, იმ დათვის ბელს ახალი კბილები ხომ არ ამოეჭრა, მაგას თუ ხახა კბილებით გამოეჭედა, მაშინ, გინდ გაზრდია კუდი და გინდ არა, აქედან უნდა დამეღუპოს! ბოლოს და ბოლოს, უკუდო დათვიც ხომ საშიშია გარშემო მყოფთათვის! ოთხი თვის შემდეგ ერთი თვე სახლში არ შემიხედავს: თევზაობითა და ნადირობით გახლდით დაკავებული იმ მიდამოებში, ევა რატომღაც „ბიზონის ველს“ რომ უწოდებს, — ალბათ იმიტომ, რომ იქ წამლად ვერ ნახავთ თუნდაც ერთ ბიზონს! ჩემს არყოფნაში ბელს უკანა ფეხებით დამოუკიდებლად გადაადგილება უსწავლია და კიდევ ასეთ რამეს გაიძახის: „მამი!“ „დედი!“ მართლაც რომ სრულიად ახალი სახეობაა.

ბგერათა ასეთი თანმიმდევრობა სიტყვებს რომ ჩამოჰგავს, ელემენტარული დამთხვევა უნდა იყოს და დარწმუნებული ვარ, მნიშვნელობა საერთოდ არ გააცნია, მაგრამ ეს მაინც რაღაც აუხსნელი მოვლენაა, რადგან ასეთი რამ დათვს საერთოდ არ ხელეწიფება. მეტყველების ეს იმიტაცია და ბალნის ნაწილობრივი, ხოლო კუდის სრული არარსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს წინაშე დათვისებრთა ოჯახის ახალი წარმომადგენელია! მისი შემდგომი გამოკვლევა საინტერესო შედეგს გვიქადის. ამჯერად გადაწყვეტილი მაქვს, შორეულ ექსპედიციაში

გავემგზავრო და გულდასმით შევისწავლო ჩრდილოეთის ტყეები. შეუძლებელია იქ ერთ ასეთ სულდგმულს მაინც არ გადავეყარო. მივუყვან იმ ჩვენს არსებას და ისიც ალბათ ნაკლებ საშიში შეიქნება, თუ თავისთავად დათვისებრთა ოჯახის წარმომადგენელთან ურთიერთობის საშუალებას მივცემთ. მიჯობს დაუყოვნებლივ გავუდგე გზას! მაგრამ ჯერ სადრუნჩე უნდა გავუკეთო!...

სამი თვის შემდეგ:

ო, რა დამქანცველი იყო ეს ნადირობა, და რაც მთავარია, როგორი ფუჭი და უშედეგო! ევას კი ამასობაში, ისე რომ სახლიდან ფეხი ა გაუდგამს, კიდევ ერთი ეგეთი არ დაუჭერია?! ჯერ არ

მინახავს ვინმეს ასე უმართლებდეს? მე ასი წელიც რომ მეხეტიალა ტყე-ტყე, მაინც ვერ მოვიხელთებდი ამ არსებას.

მეორე დღე:

ახლა მხეცუცას ძველს ვადარებ და ჩემთვის აშკარაა, რომ ისინი ერთი ჯიშისანი არიან.

მინდოდა ერთ-ერთი მათგანისგან ფიტული დამემზადებინა ჩემი კოლექციისათვის, მაგრამ ევა რატომღაც შემეწინააღმდეგა. იძულებული შევიქენი, ხელი ამეღო ჩემს განზრახვაზე და ძალიანაც ვწუხვარ: ერთ მშვენიერ დილას, ორივე სადღაც რომ გაიქცეს, ეს უკვე აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება მეცნიერებისათვის! უფროსი ახლა გაცილებით თვინიერია, სიცილიც ისწავლა და თუთიყუშივით ლაპარაკიც; ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ბევრ დროს აატარებს ჩვენს თუთიყუშთან და იმიტაციის შესაშური უნარითაც არის დაჯილდოებული. ძალიან

გამიკვირდება, თუ ბოლოს იგი თუთიყუშის ახალი სახეობა აღმოჩნდება, თუმცა, მგონი, დროა, აღარაფერი გავიკვირვო, რადგან იქიდან მოყოლებული, რაც თევზად მიმაჩნდა, ქვეყნად ყველაფერი გახლდათ, — ყველაფერი, რაც კი შეიძლება მოუვიდეს კაცს თავში! უმცროსი არსება ზუსტად ისეთივე აუტანელია, როგორიც უფროსი იყო პირველ ხანებში: უმი ხორცის ფერის ადევს, — რაღაც მონაცრისფრო — ყვითელი ტონალობის; თავი მასაც უჩვეულო ფორმის აქვს და თანაც, ბალნის ნიშან-წყალიც არ ადევს. იმან აბელი დაარქვა.

ათი წლის შემდეგ:

ბიჭები ყოფილან! ეს კარგა ხნის წინ აღმოვაჩინე. ადრე იმან აგვიბნია თავგზა, ისეთი ციცქნები და უფორმოები რომ მოევლინნენ ამ ქვეყნას; უბრალოდ, ასეთი რამისათვის მზად არ ვიყავით. ახლა გოგონებიც გვყავს. აბელი კარგი ბიჭუნაა, კაენს კი უჯობდა, დათვად დარჩენილიყო.

წარსულს რომ ვიხსენებ, ვხვდები, თუ როგორი მცდარი აზრის ვყოფილვარ ევაზე. სჯობს მასთან ერთად ვიცხოვრო სამოთხის ფარგლებს გარეთ, ვიდრე სამოთხეში უმისოდ! ოდესღაც მიმაჩნდა, რომ ის საჭიროზე ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა ძალიან მოვიწყენ, თუ ამ ხმამ იყუჩა და სამუდამოდ მიმატოვა. დაილოცოს ის წაბლი თუ უმარილო ხუმრობა, რომელმაც საუკუნოდ შეგვაერთა და ღირსმყო მისი სიკეთე და სათნოება დამენახა.

მთარგმნელი: ასმათ ლეკიაშვილი

სარჩევი

ევას ღლიური.....1
ადამის ღლიური.....30